ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 29 აგვისტო, 2017 №204 (7439) ფასი: 50 თეთრი

## რუსთავი 2 – „ოთარ ფარცხალაძემ საქართველო დატოვა“

ტელეკომპანია „რუსთავი 2“– ის ინფორმაციით, ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ ქვეყანა დატოვა. როგორც მთავარი საინფორმაციო გამოშვების ანონსში ითქვა, ფაქტს ყოფილი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრებიც ადასტურებენ.

უცნობია, როდის დატოვა და როდის დაბრუნდება ფარცხალაძე სამშობლოში.

ცნობისთვის, ყოფილი მაღალჩინოსანის წინააღმდეგ ორ სხვადასხვა საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.



24 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 52




ლინკოლნი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# სირიაში 31 წლის ლევან ტოხოსაშვილი ცოლთან და 4 შვილთან ერთად დაიღუპა



გვ.4

## „კომპრომისი არც ხელისუფლებას უნდა და არც — ოპოზიციას“



გვ.3



## ვინ გადააფიქრებინა ხელისუფლებას რუსული დახმარების მიღება

ლავროვის უწყების სკანდალური განმარტება



გვ.2

# „ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება“



გვ.3







დღეს ოპოზიცია ერთიანია, როგორც არასდროს. ყველა აცნობიერებს, რომ ის კონსტიტუცია, რომელსაც ივანიშვილების ოჯახი და „ქართული ოცნება“ გვახვევს თავს, ქართული დემოკრატიისთვის უზარმაზარი უკან გადადგმული ნაბიჯია

## აფხაზეთში სამხედრო საწყობების აფეთქების ფაქტზე შიდა გამოძიება დასრულდა



გვ.4

ოპოზიცია ხალხს მოუწოდებს, ერთად შეიმუშაონ კრიზისიდან გამოსვლის გეგმა

## ვის რამდენი შეხვდება ივანიშვილის ქონებიდან

„რობინ ჰუდის ინდექსში“ საქართველო მე-11 პოზიციაზეა



გვ.6



გვ.2

## კახაბერ ცისკარიძე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

ISSN 1987-9385

# ვინ გადააფიქრებინა ხელისუფლებას რუსული დახმარების მიღება

## ლავროვის უწყების სკანდალური განმარტება

შორენა მარსაგიშვილი

გასულ კვირას, როცა ბორჯომის ხეობა ცეცხლში იყო გახვეული, საქართველოს პრემიერმა ამაყად გვამცნო, ხანძრის ჩაქრობაში რუსეთმა გვთხოვა დახმარება, მაგრამ არ მივიღეთო. ერმა ამის გამო მთავრობას მადლობა შესწირა და ამაყად შეჰყურებდა, როგორ იწვოდა ტყე.

100 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყის დაწვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისთვის დახმარება თავად უთხოვია. ოკუპანტებს ჩვენმა ტანჯულმა მთავრობამ 23 აგვისტოს მიმართა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარია ზახაროვა ტელეკომპანია რუსთავი 2-თან საუბარში აცხადებს, რომ თხოვნა შვეიცარიული დიპლომატიური ხაზის გავლით მიიღეს.

– 23 აგვისტოს თბილისისგან მივიღეთ თხოვნა, რომ დავხმარებოდით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ხანძრის ჩაქრობაში. შეტყობინება გაფორმებული იყო ნოტით რუსეთში შვეიცარიის საელჩოში არსებული საქართველოს ინტერესების სექციიდან, – განაცხადა მარია ხაზაროვამ.

მისი მტკიცებით, რუსულმა მხარემ ამ თხოვნაზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება:

– მოსკოვმა გამოყო რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის თვითმფრინავი „ილ 76“.

გამოყოფილი „ილ 76“ რუსებს გამოყოფილად დარჩათ. ქართულმა მხარემ მოსკოვს მორიგი შეტყობინება ახლა.

– თუმცა შემდგომ ქართულმა მხარემ მადლობა გადაგვიხადა და შეგვატყობინა, რომ ხანძრის კერები ლოკალიზებულია და რუსული მხარის დახმარების საჭიროება აღარ იყო. შესაბამისი ნოტა შვეიცარიის საელჩოს ქართული ინტერესების სექციიდან 24 აგვისტოს მივიღეთ. ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ საქართველოსა და ქართველ ხალხს, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს ხანძრისა და მისი შედეგების ლიკვიდირება, – აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.



საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ კი, ზურაბ აბაშიძემ ეს ინფორმაცია ფაქტიურად დაადასტურა. ის აცხადებს, რომ ხანძრის ჩაქრობაში დახმარება გრიგორი კარასინს სთხოვა.

მარია ზახაროვას განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ამ თემაზე კომენტარი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.

ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე დარწმუნებულია, რომ თბილისიდან მოსკოვში მართლაც გაიგზავნა თხოვნა. მას საზოგადოების იმ ნაწილის გაკვირვება აოცებს, ვისაც ამ თხოვნის გაგზავნა გაუკვირდა.

– რუსეთს არაფერში არ უნდა ენდო, მათ შორის არც მათ საგარეო უწყებას, მაგრამ ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა მოსკოვი სიმართლეს ამბობს. მე ის გამიკვირდებოდა, საქართველოს ხელისუფლებას სხვა ვინმესთვის ეთხოვა დახმარება, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მეგი გოცირიძე.

მისი თქმით, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს ხელისუფლება მოსკოვიდან იმართება.

– ქოცები ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს რუსებმა, გაჭირვების დროს სწორედ მოსკოვს სთხოვეს დახმარება. ეს ხელისუფლება რომ პროდასავლური ყოფილიყო, დახმარებას თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს სთხოვდა, – აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

მას სერიოზული ეჭვები აქვს თავად ხანძართან დაკავშირებით. არ გამორიცხავს, რომ ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

– მოგეხსენებათ, წელს საქართველოში არჩევნები ტარდება. არჩევნების წინ პრორუსული ძალები ძალიან სუსტად გამოიყურებიან. ხალხში ანტირუსული განწყობაც გამძაფრებულია. აქედან გამომდინარე „რუსულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, თავისი მშობლიური ქვეყნისთვის რეიტინგი აეწიათ. ტყეში სპეციალურად არ ჩააქრეს ხანძარი და რუსეთს სთხოვეს დახმარება. თან ამას დაურთეს პროპაგანდა, რომ ხანძრის ჩაქრობაში ერთმორწმუნე ძმა დაგვეხმარა. იმ პერიოდში გვესმოდა განცხადებები, სად არის ამერიკა, როცა რუსეთი მზადაა სტიქია დაამარცხოს, – აცხადებს გოცირიძე.

მისივე განცხადებით, ხელისუფლებამ იცოდა, რომ ქართველი ხალხი ოკუპანტის დახმარებას არ მიიღებდა. ამიტომაც გადაწყვიტეს, ხალხი რამენაირად შეემზადებინათ.

– პრემიერმა ეშმაკური სვლა გააკეთა, როცა განაცხადა, რომ რუსეთმა დახმარება შემოგვთავაზა და ჩვენ უარი ვუთხარითო. ამ დროს თავად ჰქონდათ გაგზავნილი თხოვნა. „რუსული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს ეგონა, რომ ხალხი სიხარულით შეხვდებოდა ოკუპანტების წინადადებას. ჩვენს საზოგადოებას ჰქონდა ჯანსაღი რეაქცია. იმ რუსებისგან დახმარება არ უნდა მიგვეღო, რომელმაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და რამდენიმე წლის წინ ეს ტყე თავად გადაწვა, – მიიჩნევს ყოფილი დეპუტატი.

გოცირიძის თქმით, ხალხის პროტესტი რომ არა, ხელისუფლება რუსულ ავიაციას ჩააქრობინებდა ხანძარს და დაიწყებოდა პრორუსულების გრიალი.

– სამწუხაროდ, ეს ტყე დაიწვა, მაგრამ რუსეთის გეგმამ არ გაამართლა. ხელისუფლებას სხვა დანაშაულებებთან ერთად ამაზეც მოუწევს პასუხის გაცემა, – აცხადებს ექს-დეპუტატი.

მისი განცხადებით, მეოცნებეებმა ისიც უნდა განმარტონ, რატომ არ სთხოვეს თავიდანვე დახმარება თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს.

# კახაბერ ცისკარიძე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

მომღერალი კახაბერ ცისკარიძე ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბათუმის 79-ე ოლქის თავმჯდომარემ ციალა შავაძემ განუცხადა, მერობის მსურველ კანდიდატს საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამისი განაცხადი 25 აგვისტომდე უნდა გაეკეთებინა.



– ოლქში არ შემოსულა მათი განაცხადი. საინიციატივო ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, 25 აგვისტოს ჩათვლით შემოეტანა განაცხადი. პროცედურულად, ჯერ ჯგუფი რეგისტრირდება თავის წარმომადგენელთან ერთად, შემდეგ მხარდამჭერთა სია იქნება წარმოდგენილი, რომლის შემოწმების შემდეგაც კანდიდატი რეგისტრირდება. კახაბერ ცისკარიძეს ეს პროცედურები არ გაუვლია, შესაბამისად, ის ვერ იქნება ბათუმის მერობის კანდიდატი, – განაცხადა ციალა შავაძემ.

მომღერალმა ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ გუშინ ისაუბრა. მისი თქმით, ბათუმის მომავლის შეცვლა სურს.

„კახაბერი უნდა გადაიქცეს „კახა მერად“, – განაცხადა ცისკარიძემ.

* * *

მომღერალ კახაბერ ცისკარიძის განცხადებით, არ იცოდა, რომ ბათუმის მერობის კანდიდატად რეგისტრაციის პროცედურები 25 აგვისტოს დასრულდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცისკარიძემ განუცხადა, ახლა მის კანდიდატურასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს ერთ კვალიფიციურ სუბიექტთან, რომელსაც ბათუმის 79-ე ოლქში შესაბამისი პროცედურები უკვე გავლილი აქვს.

კახაბერ ცისკარიძე არ აკონკრეტებს, ვისთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ადასტურებს, რომ ეს არ არის „ქართული ოცნება“.

– ზუსტად 1 საათში გავაკეთებ განცხადებას და გავახმოვანებ ინფორმაციას, თუ რას ვაპირებ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რომ 25 აგვისტომდე სრულდებოდა რეგისტრაციის პროცედურები. მქონდა ინფორმაცია, რომ კიდევ 1 კვირა იყო დარჩენილი ამისთვის. ერთადერთი გზა არის დარჩენილი, რომ სხვა რეგისტრირებული სუბიექტის კანდიდატი ვიყო, – განაცხადა კახაბერ ცისკარიძემ.

* * *

კახაბერ ცისკარიძეს ბათუმის მერად კენჭისყრა იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ მას რომელიმე პოლიტიკური პარტია ან ბლოკი წარადგენს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო თვითმმართველობის პროექტის კოორდინატორმა ირმა პავლიაშვილმა განუცხადა, კახაბერ ცისკარიძე მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ვერ იქნება, თუმცა პოლიტიკურ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს მისი კანდიდატად წარდგენა არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღისა შეუძლია.

– საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის ვადა გასულია, რადგანაც კანონმდებლობით საინიციატივო ჯგუფები არჩევნებამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა უნდა დარეგისტრირდნენ და თან წარადგინონ პირის თანხმობა, რომელიც მერობის კანდიდატი იქნება. ამ პროცედურებისთვის ვადა 25 აგვისტოს ამოიწურა.

განსხვავებული რეჟიმია საარჩევნო ბლოკებისა და პარტიებისთვის. ისინიც ანალოგიურად ამ პერიოდში უნდა დარეგისტრირდნენ, თუმცა შემდგომ უკვე არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, უნდა წარადგინონ კანდიდატები – ანუ თუ რომელიმე პოლიტიკურ საარჩევნო სუბიექტთან ან ბლოკთან გარკვეული მოლაპარაკებები წარიმართება, ჩვენ შეგვიძლია კახაბერ ცისკარიძე კანდიდატად ვიხილოთ, – განაცხადა ირმა პავლიაშვილმა.

მისივე განმარტებით, პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს მერობის კანდიდატის წარდგენა 21 სექტემბრამდე შეუძლიათ.

# აჭარის ტელევიზიის მთავარი იურისტი მალხაზ ბოლქვაძე ტელევიზიის დირექტორ ნათია კაპანაძეს პროკურატურაში უჩივის

აჭარის ტელევიზიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი მალხაზ ბოლქვაძე ტელევიზიის დირექტორ ნათია კაპანაძეს დისკრიმინაციის ბრალდებით პროკურატურაში უჩივის.



ამის შესახებ მალხაზ ბოლქვაძემ ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა და დასძინა, რომ ნათია კაპანაძე მას სრულ იგნორირებას უკეთებდა.

მისივე თქმით, დირექტორი მას ხშირად მაღალ ტონში ელაპარაკებოდა, რომელიც ხშირად ყვირილში გადადიოდა. ინფორმაციას ipress-ი ავრცელებს.

– თავიდანვე ძალიან მძიმედ აეწყო ურთიერთობა დირექტორსა და პირადად ჩემ შორის, მოსვლის დღიდანვე. ეს შემდგომ გამოვლინდა ძალიან ბევრ ფაქტში, რასაც აშკარად დისკრიმინაციული სახე ჰქონდა. ხდებოდა ჩემი სრული იგნორირება. ბოლოს უკვე სატელეფონო ზარებზე აღარ ვპასუხობდი, იმ დონემდე მივიდა მდგომარეობა. იმდენად შეუსაბამო და მაღალ ტონში იყო დირექტორის მხრიდან გამოთქმული პრეტენზიები და უკმაყოფილება, რაც ხშირად გადადიოდა ყვირილში.

დიდხანს ვფიქრობდი, ბოლოს იძულებული გავხდი და 20 დღის წინ, 4 აგვისტოს, მე შევიტანე განცხადება დირექტორის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის ბრალდებით მივმართე აჭარის პროკურორს. ჩემი განცხადება მიიღეს წარმოებაში და 18 აგვისტოს განხორციელდა საქმეზე ჩემი გამოკითხვა. მე განცხადებაში მითითებული ფაქტები ჩამოვთვალე, ავხსენი ყველაფერი, – განაცხადა მალხაზ ბოლქვაძემ.

მალხაზ ბოლქვაძე დასძენს, რომ რამდენიმე დღის წინ ნათია კაპანაძისგან წერილი მიიღო, რომელიც მის წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებას შეეხებოდა, ამის საფუძვლად კი დავალებების შეუსრულებლობა დასახელდა.

– ხერხემალი მაწუხებს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვთხოვე შვებულება, შვებულებაზე მივიღე კატეგორიული უარი და არგუმენტი იყო საკადრო განყოფილების ბაზის უფროსის დეკრეტული შვებულება, 1 თებერვლიდან 31 აგვისტომდე. მე დამეკისრა საკადრო განყოფილების ბაზის საქმეები, რომელიც ჩემთან შეთანხმებული არ ყოფილა, ბრძანების სახით მეცნობა მოგვიანებით. ამის გამო მითხრა კატეგორიული უარი. იმ პერიოდში გავხსენი ბიულეტენი, აპრილში წარმოვადგინე.

მაისის თვეში, როდესაც იგი ამერიკაში მივლინებით იქნა წასული, ვისარგებლე ამ მომენტით და მივმართე მოვალეობის შემსრულებელს, რომელმაც დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა. მივიღე შვებულება 1 ივნისიდან 1 ივლისამდე. ამის გამო ძალიან ცუდი საუბარი ჰქონდა დირექტორს მოვალეობის შემსრულებელთან და კატეგორიულად მოითხოვა ჩემგან, რომ მე მევლო სამსახურში.

ამ დროის განმავლობაში, როცა მე იურიდიულად მქონდა შვებულება, ყოველდღე დავდიოდი სამსახურში. ივნისის შუა რიცხვებში მუხლის ნერვის ანთება დამეწყო და გადაადგილება აღარ შემეძლო და მირეკავს ტელეფონზე და ძალიან ხმამაღლა ყვირის, რომ რატომ არ ვარ სამსახურში. ვუხსნი, თუმცა მისგან პასუხი იყო რომ „არ მაინტერესებს, უნდა მოხვიდე, – განაცხადა მალხაზ ბოლქვაძემ.

**იმედინიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კომპრომისი არც ხელისუფლებას უნდა და არც — ოპოზიციას“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციური პარტიების მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ ხელისუფლებამ საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესი კვლავ ჩაშალა და აზრი ეკარგება 6 სექტემბერს ვენეციის კომისიის მიერ დაგეგმილ შეხვედრას.

„ახალი თაობა“ აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი ვაშაძეს და მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა.

**გიორგი ვაშაძე, „ახალი საქართველოს“ ლიდერი:**

***— ბატონო გიორგი, რა მოხდა? რატომ კეთდება განცხადებები, რომ 6 სექტემბრის შეხვედრა ჩაიშალა?***

— „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი გათამაშება გააკეთა, რაც უკვე მეტისმეტია! მივედით ყველა შეხვედრაზე, ვითომ ვაპირებდით შეთანხმებას, იყო მოლოდინი, რომ მათი მხრიდან დათმობებზე იქნებოდა საუბარი. შემდეგ უცებ გამოვიდნენ და მოგვიჭრეს თავიდან ბოლომდე, რომ არც არაფერი არ იქნება!

***— ანუ ვერაფერზე შეთანხმდით?***

— ეს ძალიან სამწუხარო პროცესია. ეს არის პროცესი, როცა ხელისუფლებას დაკარგული აქვს ყოველგვარი ბმა რეალობასთან.

***— მოლოდინი დიდი იყო, წერილობით ხომ მიაწოდეთ თქვენი მოთხოვნები, ანუ აქედან არაფერი გამოვა?***

— წერილობით ჩვენ გავუგზავნეთ ყველაფერი და პასუხად რაც მივიღეთ, ყველამ ნახა, რაღაც დამცინავი შეფასება, რომ თითქოს ოპოზიციას არ უნდა არანაირი ცვლილებები კონსტიტუციაში. ძალიან საგანგაშოა ის პასუხი, რაც ჩვენ მივიღეთ.



***— ჯანი ბუკიკიოს მიერ ორგანიზებული შეხვედრა ჩაიშალა?***

— წავალთ თუ არ წავალთ, ამის საბოლოო პასუხს ვერ გეტყვით. ჩემი პოზიციაა, რომ ალბათ ჯობია, ხელისუფლება ჩავიყვანოთ ვენეციის კომისიის შუამდგომლობით გამართულ შეხვედრაზე. მათ ნათქვამი აქვთ, რომ წამოვლენ ამ შეხვედრაზე და შესაბამისად ვფიქრობ, რომ ეს უფრო სწორი იქნება. თუ ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის, მარტო ოპოზიციის ჩასვლას აზრი არა აქვს.

***— ირაკლი კობახიძე თავიდანვე აცხადებდა, რომ ამ შეხვედრაზე ჩასვლის აზრს ვერ ხედავდა. მაინც გაქვთ მოლოდინი, რომ წამოვლენ?***

— სრული პასუხისმგებლობა ამ საკონსტიტუციო პროცესთან დაკავშირებით ეკისრება პირველ რიგში კობახიძეს, რომელიც იყო ამ პროცესის ხელმძღვანელი და შემდეგ უკვე მთელ საპარლამენტო ჯგუფს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს.

***— გართულდება სიტუაცია?***

— თუ ისინი ჯიუტად დადგებიან საკუთარ პოზიციაზე, კიდევ უფრო უარეს პასუხს მიიღებენ ქართველი საზოგადოებისგან. არავის შერჩენია კანონის ზემოთ დადგომა და არც „ოცნებას“ შერჩება.

* * *

**მამუკა გამყრელიძე, „ახალი ერთობა საქართველო“:**

***— ბატონო მამუკა, საკონსტიტუციო პროცესი კვლავ ჩიხშია. რას ელოდებით ამ ყველაფრისგან?***

— კომპრომისების გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდება. გარკვეული კომპრომისი უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდანაც და კომპრომისი უნდა იყოს ოპოზიციის მხრიდანაც. სხვანაირად არაფერი გამოვა.

***— არც ერთ მხარეს არ სურს პოზიციების დათმობა?***

— ორივე მხარე უწყობს ხელს ამ პროცესის ჩაშლას თავისი ხისტი პოზიციით. თუმცა ამ პროცესში მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ინიციატივები და დათმობები სწორედ მათგან უნდა მოდიოდეს. ოპოზიცია ნებისმიერ შემთხვევაში მზად იყო შეხვედრისათვის.

***— თუმცა ოპოზიციასაც ხისტი პოზიცია აქვს და საარჩევნო სისტემის ირგვლივ ტრიალებს.***

— საარჩევნო სისტემა ოპოზიციისთვის პრიორიტეტული საკითხია. საერთოდ ვინმე ესაუბრება მათ? ხელისუფლებამ გამოიჩინა ინიციატივა, რომ მათ შეხვედროდა. მიმოწერით და შორიდან ქვების სროლის ფორმატში არაფერი არ გამოდის. აქ აუცილებელია კონსულტაციები, მსჯელობა, აზრთა გაცვლა, თუნდაც დახურულ ფორმატში. ეს გააკეთა ვინმემ?! ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს სჭირდება ქვეყანას! თუ ამდენი შეგნება არ აქვს არც ერთს, რომ სახელმწიფოებრივად შეხედონ საკითხს, მაშინ დაიხურონ ქუდები და წავიდნენ!

***— აქედან არაფერი გამოვა?***

— ბატონი კობახიძე ძალიან ინფანტილური ადამიანია. მას აქვს შიში იმისა, რომ ვაიდა, ვინმემ მის მარცხად არ აღიქვას მისი რბილი პოზიცია.

***— კომპლექსები აქვს?***

— ნამდვილად ასეა.



# „ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება“

ხანძართან ერთკვირიანი ბრძოლის შემდეგ საქართველოში ცეცხლი ბოლომდე დამარცხებული ჯერ კიდევ არ არის. ხანძრის კერებია ქართულ პოლიტიკაშიც — საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის ხიდები თითქმის დამწვარია — პრაქტიკულად ჩაშლილია „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის დაანონსებული შეხვედრა, რომელიც მიმდინარე წლის 6 სექტემბერს სტრასბურში უნდა შედგეს.

თუ გასული კვირის ბოლოს „ქართული ოცნება“ ოპოზიციასთან ქვეყნის მთავარი დოკუმენტის ირგვლივ მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულებაზე საუბრობდა, მმართველი პოლიტიკური ელიტა დღეს სხვაგვარად ალაპარაკდა და დიალოგის შანსის შესახებ გააკეთა განცხადება.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, მმართველი გუნდი მზად არის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციასთან დიალოგი და დისკუსია გამართოს, თუმცა, კობახიძის თქმით, ეს ყველაფერი დამოკიდებულია ოპოზიციაზე.

ოპონენტების მისამართით ისრების გადატანას ცდილობს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძეც.

პარლამენტარმა თემის კომენტირებისას თქვა:

— მმართველი გუნდი 2 თვის განმავლობაში ცდილობდა, რომ ოპოზიციისგან კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხი მიეღო, თუმცა უშედეგოდ.

მისივე განმარტებით, მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ოპოზიციასთან დიალოგისთვის მაინც მზად არის.

ოპოზიცია კი საკონსტიტუციო ცვლილებებზე მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებებს 25 აგვისტოს გაკეთებული განცხადების გამოსწორების მცდელობას უწოდებს.

განახლებული კონსტიტუციის მიღების შეჩერებას მოითხოვს საქართველოს პირველი პირიც.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 აგვისტოს მმართველ ძალასა და ოპოზიციის შეხვედრაზე, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას ის ძირითადი საკითხები გააცნეს, რომლის გათვალისწინებასაც საკონსტიტუციო რეფორმაში ოპოზიცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ მოლაპარაკებების დაწყების წინ განაცხადა, რომ მზად არის ოპონენტებთან დიალოგისთვის, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი პარტიებს მოუწოდა, წინადადებები წერილობითი სახით გაეგზავნათ.





ოპოზიციურმა პარტიებმა თალაკვაძის თხოვნა გაითვალისწინეს და უმრავლესობას მათი უცვლელი მოთხოვნები მესამედ გადაუგზავნეს.

თუმცა მთავარი კითხვა, რა კომპრომისისთვის არის მზად ხელისუფლება, კვლავ ბუნდოვანია.

ქვეყნის მთავარმა დოკუმენტმა გააერთიანა ოპოზიცია, მათი პრინციპული პოზიცია, რომელიც მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას უკავშირდება, უცვლელია.

„ნიუპოსტი“ სამთავრობო გუნდის მიერ ქვეყნის მთავარი დოკუმენტის ირგვლივ გაკეთებულ განცხადებებზე მის ადრესატებს ესაუბრა.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ბიბილაშვილი აღნიშნავს, რომ „ივანიშვილის ოჯახი“ ქართველ საზოგადოებას თავს ანტისახელმწიფოებრივ დოკუმენტს ახვევს.

— ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაკეთებული განცხადება სრულიად არასერიოზულია. მათ პარასკევს გაავრცელეს განცხადება, სადაც შემდგომ დიალოგზე უარს აცხადებდნენ და ბრალს ჩვენ, ოპოზიციას გვდებდნენ. მიუხედავად ამისა, ყველაფერი მარტივია: მათ გააცნობიერეს, რომ ბოლო განცხადებით ნიღაბი ჩამოიხსნეს და დღეს განაახლეს საუბარი დიალოგზე.

რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს: პირველი — თუ ხელისუფლება დიალოგისთვის მზად არის, მან კონსტიტუცია აუცილებლად უნდა დააბრუნოს განხილვის წინა სტადიაზე, ვინაიდან მესამე მოსმენის სტადიაზე კანონპროექტში, გარდა სარედაქციო ხასიათის ცვლილებისა, ნებისმიერი ცვლილების შეტანა კანონით აკრძალულია.

ხელისუფლება იმთავითვე აცხადებდა, რომ საუბარს არ აპირებდა არც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც საზოგადოება და ოპოზიცია აყენებდა. საუბარია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის შენარჩუნებაზე და ასე შემდეგ.

ხელისუფლების მიზანი უმნიშვნელო საკითხებზე ვაჭრობა და ამ ვაჭრობით ჩართულობის ილუზიის შექმნა იყო — ეს გეგმა ჩავარდა და დღეს ხელისუფლება მსგავსი სახის ილუზიის შექმნას ცდილობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში თავი ბოლომდე არ მოიჭრას და ვენეციის კომისიის წინაშე რაღაც ჰქონდეს სათქმელი, — განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

ენმ-ის ლიდერმა ოპოზიციის ერთიანობას გაუსვა ხაზი.

— დღეს ოპოზიცია ერთიანია, როგორც არასდროს. ყველა აცნობიერებს, რომ ის კონსტიტუცია, რომელსაც ივანიშვილების ოჯახი და „ქართული ოცნება“ გვახვევს თავს, ქართული დემოკრატიისთვის უზარმაზარი უკან გადადგმული ნაბიჯია. ეს დოკუმენტი ანტისახელმწიფოებრივია და ხელისუფლების დემოკრატიული, არჩევნების გზით ცვლილებას შეუძლებელს ხდის. ოპოზიცია მოილაპარაკებს ერთმანეთში, დაელაპარაკება ხალხს და მასთან ერთად გადაწყვეტს, როგორ აღუდგეს წინ ამ ძალადობრივ აქტს, რომელსაც ივანიშვილი და მისი გუნდი გვახვევს თავს, — განმარტა მან.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან თარხნიშვილიც თვლის, რომ 2020 წელს პროპორციული არჩევნების ჩატარება ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც არდათანხმების შემთხვევაში დიალოგს აზრი ეკარგება.

თარხნიშვილი მმართველ პოლიტიკურ პარტიას საკუთარ რიგებში საკითხზე ჩამოყალიბებას ურჩევს.

— კარგი იქნება თუ მმართველი გუნდი, ერთხელ და სამუდამოდ, თავის რიგებში ჩამოყალიბდება, თუ რა პოზიცია აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით. რას ითხოვენ და რაზე არიან თანახმა, რომ მოლაპარაკება შედგეს. დღეს გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ერთგვარად კომიკური ვითარება შეიქმნა, ხელისუფლება ოპოზიციისგან პოზიციის დაფიქსირებას მუდმივად ითხოვს, არადა, მათგან განსხვავებით, ჩვენ ჩვენი პრინციპული პოზიცია დიდი ხანია დაფიქსირებული გვაქვს — დავაფიქსირეთ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროს, პარლამენტში საკითხის განხილვისას, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად და ცალკეც. ჩვენი მოთხოვნა არის უცვლელი და მარტივი: მთავარი საკითხი, რომელზეც მზად ვართ ვისაუბროთ და რომელიც ჩვენი მოსაზრებით არის ფუნდამენტალური, ეს არის საარჩევნო სისტემა, ანუ როგორ აირჩევთ პარლამენტს 2020 წელს. უნდა



დავუბრუნდეთ იმ პროექტს, რომელსაც თავად „ქართული ოცნება“ განიხილავდა და რომელიც მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა საკონსტიტუციო კომისიაში — ეს არის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა არა როდესღაც, არამედ 2020-ში და არა ერთჯერადად, არამედ სამუდამოდ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# აფხაზეთში სამხედრო საწყობების აფეთქების ფაქტზე შიდა გამოძიება დასრულდა

## ოპოზიცია ხალხს მოუწოდებს, ერთად შეიმუშაონ კრიზისიდან გამოსვლის გეგმა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტრომ დაასრულა შიდა გამოძიება 2 აგვისტოს დაბა პრიმორსკოეში სამხედრო საწყობების აფეთქების ფაქტზე.

საოკუპაციო რეჟიმის თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია აცხადებს, რომ მომხდარი განპირობებულია ადამიანური ფაქტორით. გამოძიების მასალები სამხედრო პროკურატურას გადაეცა.

სამი საწყობიდან ორი დაინგრა. გადარჩენილი იარაღი, ჭურვები და საინჟინრო ქონება გადატანილია თავდაცვის სამინისტროს სარეზერვო საწყობებში.



საწყობების გაწმენდაში მონაწილეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია. იწმინდება ადგილობრივი მოსახლეობის ეზოებიც.

– საწყობების ბედზე გადაწყვეტილებას მთავარსარდალი, პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მიიღებს, – აღნიშნა ქიშმარიამ.

მან უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, რომ სამხედრო საწყობებში გასტარბაიტერები მუშაობდნენ.

– უფლება არ გვაქვს, უცხო პირები სამხედრო ობიექტებზე მოვიზიდოთ, -ირწმუნება მინისტრი.

2 აგვისტოს აფეთქებას რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლები შეეწირნენ. ბევრმა ფსიქოლოგიური სტრესი მიიღო. რამდენიმე მათგანი აფეთქებებისას რუსეთისკენ საცურაო კოსტიუმში გაიქცა.

ამან შეუძლებელი გახდა საკურორტო სეზონის გაგრძელება. საკურორტო სეზონი ჩაშლილად ჯერ კიდევ ამ ინციდენტამდე ითვლებოდა. ამის მთავარი მიზეზი გახდა თავდასხმები რუს ტურისტებზე. ერთი მათგანი ასეთი თავდასხმისას დაიღუპა. ლეტალურად დასრულდა რუსების ერთი ავიაგასეირნება, მეორე შემთხვევაში ტურისტები დაშავდნენ. ამის შემდეგ როსტურიზმმა საკუთარი მოქალაქეები აფხაზეთში არსებული რისკების შესახებ გააფრთხილა.

აფეთქებების დროს აფხაზეთში ცოტა დამსვენებელი იყო შემორჩენილი და სიცოცხლისათვის საშიში კურორტი დარჩენილებმაც დატოვეს.

ჩაშლილ საკურორტო სეზონს, ასევე აფხაზეთში შექმნილ კრიზისს პოლიტიკური ძალები და საზოგადოებრივიო ორგანიზაციები სპეციალურ შეკრებაზე შეეხნენ. კონფერენციამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო.

– საკურორტო სეზონი ჩაგვივარდა. აფხაზეთში კრიმინალიტეტის თარეშია. ასეთი სიღატაკე და სიღარიბე არც ერთი ხელისუფლების დროს არ ყოფილა, – განაცხადა ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირინა აგრბამ.

შეკრებილების აღშფოთებას იწვევს ის, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა კრიზისის არსებობას არ აღიარებს.

– ხელისუფლების მთავარი ამოცანა 2019 წლამდე გაძლებაა. ამის საშუალებას მას საგარეო ფინანსური ინექციები აძლევს. ისმის კითხვა, ჩვენ როდემდე უნდა ვუყუროთ იმას, როგორ ანგრევს ხელისუფლება რესპუბლიკას? – აღნიშნა აგრბამ.

მისი თქმით, მიმდინარეობს აფხაზი ეთნოსისათვის დამღუპველი დაჩქარებული დეპოპულაცია. ახალგაზრდობა იღუპება ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, ახალგაზრდების ნარკოდამოკიდებულებამ საშიში მასშტაბები მიიღო. ნარკოტიკები არასდროს ყოფილა ასეთი ხელმისაწვდომი.

– ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო ვერ იყენებს თავის მთავარ კოზირს – იძულების ზომას. არავინ არავის უჯერებს. ხელისუფლება სუსტია. აუცილებლად უნდა განვახორციელოთ სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს რეფორმა, – განაცხადა ოპოზიციური ძალების ბლოკის თანათავმჯდომარემ, დეპუტატმა ასლან ბჟანიამ.

იგი გამოდის გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის შემცირების ინიციატივით.

ენერგეტიკის დარგში მას სამაგალითოდ მიაჩნია ქართველების გამოცდილება:

– დღეს საქართველოს ელექტროსექტორი შემოსავლიანია. ელექტროენერგეტიკის ობიექტების 80% კერძო პირების ხელშია.

მან აღიარა, რომ აფხაზების ნაწილი სამკურნალოდ ენგურსგამოღმა დადის. საქართველოს ჯანდაცვა, მისი აზრით, წარმატებული გახდა რეფორმების შედეგად.

„ამცახარას" პოლიტსაბჭოს წევრმა ვიაჩესლავ ვარდანიამ აღნიშნა, რომ საფრთხეშია აფხაზეთის „სახელმწიფოს" არსებობა. თუ 2014 წელს, ლევადა-ცენტრის გამოკითხვის მონაცემებით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მხარს უჭერდა აფხაზეთში გამოკითხულთა 11%, დღეს უარესი სიტუაციაა – გამოკითხულთა 32%-ს უნდა აფხაზეთის რუსეთთან მიერთება.

თუ ამ საკითხზე რეფერენდუმი გაიმართა, „ამცახარას" ერთ-ერთი ლიდერი უფრო სახიფათო შედეგებს ელოდება:

– აფხაზეთში 42.000 პენსიონერი პენსიას რუსეთიდან იღებს. ისინი შეიძლება შეაშინონ, რომ პენსიებს დაკარგავენ. ამიტომ ისინი ხმას რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მისცემენ. გარდა ამისა, ამას მხარს დაუჭერს აფხაზეთის რუსულენოვანი მოსახლეობა.

კონფერენციამ ხაჯიმბას ხელისუფლება უუნაროდ მიიჩნია. მან პოლიტიკურ ძალებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ინტელიგენციას კონსოლიდაციისკენ და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებისაკენ მოუწოდა. შეკრებილები აფხაზეთის პარლამენტსაც მიმართავენ, რათა ოპონენტებს მიეცეთ აფხაზეთის ტელევიზიისა და რადიოში გამოსვლების უფლება.



# „ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მე მინდა შეგახსენოთ, რომ სწორედ ამ პროექტს განიხილავდა პარლამენტი, საქართველოს მოსახლეობა და ამ პროექტზე დააფიქსირა თავისი აზრი ვენეციის კომისიამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. შემდეგ საიდანღაც გამოჩნდა პროექტი, რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნებისგანაა" მხარდაჭერილი და მოწონებული.

ჩვენი მთავარი მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ, მზად ვართ ვისაუბროთ ბლოკებზე, მანდატების სისტემასა და ბარიერზე, – უთხრა „ნიუპოსტს" ლევან თარხნიშვილმა.



„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი ბაჩუკი ქარდავა „ნიუპოსტთან" ამბობს, რომ ოპოზიციური სპექტრი საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხში ერთიანია.

მისი თქმით, ოპოზიციური სპექტრის მთავარი მოთხოვნა 2020 წლისთვის არჩევნების მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევაა. ედპ-ს ლიდერი მმართველ გუნდს არათანმიმდევრულობაში ადანაშაულებს.

– ბევრ გადაწყვეტილებასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებამ ბოლო დროს მიიღო, იყო ის, რომ მან მოლაპარაკების მაგიდა დატოვა. ხელისუფლებამ თავისი არათანმიმდევრულობით, იმიჯს არც ამჯერად უღალატა და გაიქცა მოლაპარაკების მაგიდიდან. ჩვენ სწორედ ამ პოლიტიკურ მოცემულობაში ვიმყოფებით.

რაც შეეხება ხელისუფლების მიზანს, ეს ჩვენთვის გარკვეული იყო ადრეც და დღესაც ნათელია – მმართველ პოლიტიკურ ძალას სურს, ოპოზიცია დაითანხმოს ან ოპოზიციის შიგნით ისეთი პოლიტიკური ძალები იპოვოს, რომლებიც ერთპარტიულ კონსტიტუციას ე.წ. ბლოკების, ბარიერების და სხვა მეორეხარისხოვანი საკითხების სანაცვლოდ „გაუპრავებენ". დღეს სასწორზე დგას შემდეგი საკითხი: ქვეყანაში არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება დამკვიდრდება თუ არა.

ხელისუფლებას, რომელიც ამომრჩეველში ნდობას ელვის სისწრაფით კარგავს, 2020 წლისთვის ხელოვნური ბერკეტებით სურს მიიტაცოს ძალაუფლება. ოპოზიციის სურვილია, რომ დემოკრატიის მთავარი საფუძველი – პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევითობის პრინციპი და საარჩევნო სისტემის სამართლიანობა – დამკვიდრდეს ქვეყანაში. დღეს, როგორც არასდროს, ოპოზიცია ამ პრინციპის ირგვლივ კონსოლიდირებულია.

მთავარი საკითხია – არ მივცეთ მმართველ ძალას საშუალება, მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების ხარჯზე ხელისუფლების უზურპაცია მოახდინოს. სანამ ამ მთავარ პრინციპს არ დათმობს, ბუნებრივია, დიალოგს აზრი ვერ ექნება, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

მისი თქმით, ,,ქართულ ოცნებას" იმდენად სჭირდება ხელისუფლებაში დასარჩენად არჩევნებზე ხელოვნური ბერკეტები, რომ ისინი ყველაფერზე მიდიან.

– ასეთ შემთხვევაში ოპოზიციის ვალია, საზოგადოებაში გააქტიუროს ის თემები, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. თუ ხელისუფლება მთავარ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს და ამომრჩეველს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებს, საბოლოოდ, პოლიტიკური პარტიები კი არ მიიღებენ გადაწყვეტილებას, არამედ გადაწყვეტილებას ქართველი ხალხი მიიღებს და ეს ბევრად მტკივნეული იქნება ხელისუფლებისთვის, ვიდრე ის რეალობა, რომელშიც ისინი დღეს იმყოფებიან, – დასძინა ქარდავამ.

„საქართველოს ევროპელი დემოკრატების" თავმჯდომარე პაატა დავითაია აცხადებს, რომ მოლაპარაკებაზე უარი თავად ხელისუფლებამ თქვა.

– ოპოზიციის მხრიდან გამოხატული იყო მზაობა დიალოგთან დაკავშირებით, თვითონ ხელისუფლებამ თქვა უარი ამ დიალოგზე. რა თქმა უნდა, ამ ფონზე შეხვედრა კარგავს აზრს იმიტომ, რომ რეალურად ჩვენ ვენეციის კომისიასთან კი არ გვაქვს რაიმე გასარჩევი, არამედ მთავარი მომენტი იყო, რომ ხელისუფლება წამოსულიყო დათმობაზე. ეტყობათ, არ უნდათ გარკვეული დათმობების განხორციელება. ეს იქნება ერთპარტიულად მიღებული კონსტიტუცია, რაზეც დიდი კრიტიკა დაიმსახურეს ვენეციის კომისიიდან, ეტყობათ, არ აინტერესებთ ეს მიდგომები. მიიღებენ კონსტიტუციას თავისთვის და ეს იქნება – „ქართული ოცნების" კონსტიტუცია და არა ქართული სახელმწიფოს კონსტიტუცია, – განაცხადა პაატა დავითაიამ.

როგორც კომენტარებიდან ჩანს, ვენეციის კომისიის პრეზიდენტს მორიგი იმედგაცრუება ელის.

2 თვის წინ ჯანი ბუკიკიომ ხაზგასმით აღნიშნა: „ახალი კონსტიტუცია მხოლოდ ერთმა პარტიამ არ უნდა მიიღოს და საჭიროა, გაგრძელდეს კონსულტაციები იმისთვის, რომ ფართო კონსენსუსის მისაღწევად საერთო ენა გამოინახოს".

ნიუპოსტი

# სირიაში 31 წლის ლევან ტოხოსაშვილი ცოლთან და 4 შვილთან ერთად დაიღუპა

პანკისიდან სირიაში გადასახლებული ტოხოსაშვილების ოჯახის ექვსივე წევრი, მათ შორის ოთხი ბავშვი, დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაცია ხეობაში დღეს დილით გავრცელდა.



დაღუპულების ახლობლები ამ წუთებში სამძიმარს იღებენ.

ადგილობრივების თქმით, ლევან ტოხოსაშვილი და მისი ოჯახი დაბომბვას ემსხვერპლა.

ლევან ტოხოსაშვილი სოფელ ომალოს მკვიდრი იყო, თუმცა ბოლო ორი წელი, მეუღლესა და შვილებთან ერთად, სირიაში ცხოვრობდა.

ეს პანკისის ხეობიდან სირიაში წასულთა გარდაცვალების უკვე 26-ე შემთხვევაა.

# ზუგდიდის საავადმყოფოს მე–4 სართულიდან 3 წლის ბავშვი გადმოვარდა



ზუგდიდის საავადმყოფოს შენობიდან 3 წლის ბავშვი გადმოვარდა. როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი ზუგდიდიდან თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყება, მცირეწლოვანი საავადმყოფოს მეოთხე სართულზე, ბავშვთა განყოფილების ერთ-ერთ პალატაში დედასთან ერთად იმყოფებოდა, მშობელი მისთვის სადილს ამზადებდა, რა დროსაც ბავშვი ფანჯარაზე ავიდა და გადმოვარდა.

ექიმების ინფორმაციით, მას ქვედა კიდურების მოტეხილობა აქვს, ასევე არის მცირე სისხლჩაქცევა ტვინის არეში, რის გამოც ბავშვი ქუთაისში გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე საქმე სსკ-ის 124-ე მუხლით აღიძრა, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის დაზიანებას გაუფრთხილებლობით.

# 83 წლის ფარდაგების მქსოველი ხადას ხეობიდან, სოფელს დაცლას რომ არ ანებებს

გზა ცუდია და ქვიანი, ხეობა მწვანე და კლდიანი. მთებს შორის მდებარე წკერე ხადას ხეობის ბოლო სოფელია. 83 წლის ანიჩკა ბექაური და მისი მეზობელი კი ამ სოფლის უკანასკნელი მუდმივი მცხოვრებლები.

ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მდებარე წკერეში მოსახვედრად „სულ წინ უნდა იარო, წადი და მიხვალ" – ასე გვარიგებს მჟავე წყლებთან, გზად შეხვედრილი ადგილობრივი. რომ „წახვალ", გზად ჩანჩქერიც შეგხვდება და კოშკების კასკადიც – თითქმის ყველა მთაზე.

მუღურე, ქოროღო, ბენიან-ბეგონი, იუხო, როსტიანი, შარმანი, ბედონი, წკერე – ხადას ხეობის სოფლები თითქმის დაცარიელდა. მთელ ხეობაში მუდმივად მხოლოდ 6-7 ოჯახი თუ ცხოვრობს.

სხვა სოფლებისგან განსხვავებით, წკერეს ორი ქალი არ ანებებს დაცლას. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აქ 40 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წელს – 3, დღეს კი მთის კალთაზე შეფენილ დასახლებას ანიჩკა ბებო და მისი მეზობელი აცოცხლებენ.

ანიჩკა ბექაური (ზაქაიძე) გუდამაყრელია, ოქტომბერშია დაბადებული, თუმცა რიცხვი არ ახსოვს. თითქმის 60 წლის წინ, წკერეში გათხოვდა. მომავალი მეუღლე ბიძაშვილმა გაურიგა, „ასე უთქვამს, ერთი კარგი ბიძაშვილი მყავსო. ეგრეა, თავისიანი ყველას კარგი ჰგონია". საქმროს არც კი იცნობდა, მერე შეუყვარდა, როცა უკვე გათხოვილი ქალი იყო. ჯერ ნიშნობა ჰქონდათ, შემდეგ ქორწილი. ქორწილში რუხი კაბა ეცვა, თეთრი ფერი „ეჯავრებოდა". ქალის მაყარი, წესისამებრ, ორ ღამეს დარჩა. ცეკვაც იყო და სიმღერაც – მკვდარსაც რომ გააცოცხლებდა ისეთი!".

ოთხი ჩემოდანი მზითვი მოიყოლა, თუმცა ჭადრაკისა და „ვეფხისტყაოსნის" ნაცვლად, საკუთარი ნაქსოვი ხალიჩა გამოატანეს – „ეგეთი წესი იყო მთაში, გასათხოვარ ქალს ერთი სამზითვო ხალიჩა მაინც უნდა ჰქონოდა მოქსოვილი. მე ოთხი მქონდა".

ქმარს ნიკიფორე ერქვა. ხან ჩხუბობდნენ, ხან კარგად იყვნენ. ორი ბიჭი შეეძინათ. 11 წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა. 3 წლის შემდეგ, უფროსი შვილიც დაკარგა და ახლა 5 ობოლ შვილიშვილზე დარდობს. „არაფერი არ აკლიათ ჩემ შვილიშვილებსა, მაგრამ მაინც მენანებიან, ობლები რომ არიან და ვწვალობ იმათ გულისთვინ".



მეორე შვილი რუსეთში ცხოვრობს. ბოლოს შარშანწინ ნახა. სულ მის ზარს ელოდება, თუმცა ტელეფონი გაუფუჭდა და ბოლო დროა არ უსაუბრიათ.

– ჩვენ დაბლაც გვაქვს სახლი, ბედონში. ჩემი რძალი მეჩხუბება, სირცხვილიაო, იქაო, მარტოკაი რატო ხარო, ჩამოდიო, აქ იყაო. არ მივდივარ. აქ ბევრ საქმეს ვაკეთებ ჩემი შვილიშვილებითვინ.

საქმე ბევრი აქვს, აგე, ხო ვხედავთ, „მატყლში ზის". ართავს, ქსოვს, ხუთი წუთი არ ყოფილა, რომ „ცუდად მჯდარიყო". სიბერეს ემდურება – ადრე ხალიჩებს ორ თვეში ქსოვდა, ახლა კი დაწყებული აქვს და ვერ ამთავრებს – „უზორს დათვლა უნდა, ვთვლი და მავიწყდება, მეხსიერება აღარ მივარგა".

ადრე ხურჯინებსაც ქსოვდა და პატარა ფარდაგებსაც. ერთ-ერთ ფარდაგზე თეთრი ფურცელია მიმაგრებული – „ჩემ ჯემალას. თუ გინდა გამოიყენო, სარეცხის მაშინაში არ გარეცხო".

მცირე შემოსავალს ტურისტებისთვის წინდების მიყიდვით შოულობს. ორი წლის წინ 300 ლარისა გაყიდა, „შვილიშვილების გულისთვინა ვწვალობ, თორე აბა მე რა, ერთ ადამიანს სასმელი მინდა ბევრი, თუ საჭმელი?!

წინდებისგან განსხვავებით, რა ფულიც არ უნდა „შეაძლიონ", ხალიჩებს ვერ შეელევა – „აბა, ბალღებს ხო არ გავუყიდი". წიგნები უყვარს, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი", საიდანაც სცენები ხალიჩაზეც დაიტანა.

არადა, 13-14 წლისა რომ იყო, დედამისი შიშობდა, „ეს ჩემი შემრცხვენელი გაიზრდება, თავისთვის წინდას ვერ მოქსოვს, სწორად ვერაფერს გაკერავს. ეს ოღონდ ცხენზე შასვი და არბოლეო". ჯირითი ბავშვობაში თავისით ისწავლა – „რაც კი შეეძლო ცხენსა რო გაქცეულიყო, ისე ვარბოლებდი".

ჩონგურიც აინტერესებდა, გარმონიც და სიმღერაც – რაც კი რამ უნდოდა, ყველაფერი დაისწავლა. ცხვრების პარსვაც მოსწონდა, ყანის მომკაც. ახლა რთვა და ქსოვა ურჩევნია ყველაფერს.

შვილიშვილები ხშირად აკითხავენ. ტურისტებიც მრავლად სტუმრობენ და სტუდენტებიც. თუკი მოიწყინა, ტელევიზორს ჩართავს და უყურებს. სერიოზული კინო უყვარს, ბოროტი როლის შემსრულებელი მსახიობები ეჯავრება, ეგეთ ფილმებს არ უყურებს. დღესდღეობით „მფარველ ანგელოზს" უყურებს, აი, დილით რომ იწყება, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე, იმას.

წლების განმავლობაში, ანიჩკა ბებოსთვის წკერე მშობლიურ სოფლად იქცა. „აქაობა" უყვარს, თუმცა გული წყდება, რომ ხეობა დაიცალა.

– ამ სოფელში 32 კომლი იყო. ეხლა ორი ქალიღა დავრჩით. დრო რომ აირია, სკოლა აღარ იყო, შემოსავალი აღარ იყო და წავიდა ხალხი. გულსატკენია, სოფელი რო დაიცალა, რო გამოხვალ და ვერავის ვეღარ დაინახავ. დაბრუნებით, წასული აქ არავინ დაბრუნდება. ამხელა ხეობაზე მთელი ზამთარი 7 კომლი ვართ.

ამბობს, რომ ყველაფერი აკლიათ, რადგან ადგილზე მხოლოდ კარტოფილი მოდის. შემოსავლის ერთადერთი წყარო მესაქონლეობაა, ისიც მათთვის, ვისაც, ანიჩკა ბექაურისგან განსხვავებით, საქონლის მოვლა შეუძლია. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ ახლა უწინდელზე კარგი დროა – „ვისაც შნო და ჭკვა აქვ, იმისთვინ ძაან კაი ცხოვრება არი. ახალგაზრდებს არ უნახიათ, რაც ჩვენ გაგვივლია. მანქანის კამერებს ვყიდულობდით, იმის ქალამნებს გვიკეთებდნენ, ისენი გვეცვა. კალოშებს თუ ჩავიცმევდით, დიდი რაღაცა გვეგონა."

ჯანმრთელობის მხრივ თავს კარგად გრძნობს. ერთი ეგაა, რომ წნევა აწუხებს ხოლმე. ერთხელ ცუდად გახდა და სასწრაფოს გამოძახება მოუხდა. ბედონში მდებარე სახლში მოუწია ჩასვლა, ექიმს რომ გაესინჯა. წამლებს თბილისში ყიდულობს.

დღესდღეობით ერთი დიდი სადარდებელი აქვს – ერთი კვირის წინ ბუნებრივი აირი გაუთიშეს. „სამასნახევარი" ლარის დავალიანების გამო. არადა, როგორც ანიჩკა ბებო ამბობს, რასაც მრიცხველი წერს, პატიოსნად იხდის, თანაც, 7 თვე გაზი უფასოდ მიეწოდებათ.

– წყალთან მივდიოდი. შემხვდნენ. ანა ბაბო, შენა ხარო? მე ვარ-მეთქი. გაზი უნდა გაგითიშოთო მითხრეს, დავალიანება გაქვსო. რანაირად-მეთქი და ვერ მიპასუხეს.

როგორ უნდა დავწვა მაგდენი, მარტო პურს ვაცხობ, აგე ბალონები მაქვს ორი, ჩაის, კერძს, მაგ ბალონზე ვაკეთებ. მთელი ხეობა ეგეთ დღეში ვართ. ოღონდ გვიშველეთ რამე და მარტო ჩემზე კი არა, მთელ ხეობაზე დაწერეთ განცხადება, – გვემშვიდობება ანიჩკა ბექაური.

**მთისამბები.გე**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ირგვლივ გაუგებრობამ იჩინა თავი

მარიამობის დღესასწაულზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში გადასვენებასთან დაკავშირებით დაწყებულ აჟიოტაჟზე საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ირგვლივ უკანასკნელ წლებში სამწუხარო გაუგებრობებმა იჩინა თავი, რაც ზუგდიდის მრევლში მღელვარებას იწვევს.

– 1923 წლამდე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი, სხვა სიწმიდეებთან ერთად ხობის მონასტერში ინახებოდა, 1923 წელს კი ისინი დადიანების სასახლეში განთავსებულ მუზეუმში გადაიტანეს.

ზუგდიდის მუზეუმის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ათწლეულების განმავლობაში მათ მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობის, პროფესიული თავდადებისა და სამოქალაქო გმირობის ფასად ათეისტურ დროს გადაურჩა ყოვლადწმიდა კვართი და არაერთი სხვა სიწმიდე.

დღეს, ღვთის მადლით, დადგა დრო, როცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება ხოლმე ამ სიწმიდის გადმოსვენება ტაძარში, სადაც ტარდება საღმრთო ლიტურგია და მორწმუნე



ადამიანებს მასთან რწმენითა და სიყვარულით მიახლების საშუალება ეძლევათ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ირგვლივ უკანასკნელ წლებში, სამწუხარო გაუგებრობებმა იჩინა თავი, რაც ზუგდიდის მრევლში მღელვარებას იწვევს.

ზუგდიდის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივად მიიჩნევს იმას, რომ მათ ქალაქში ინახება საქრისტიანოს გამორჩეული სიწმიდე და შესაბამისად, მტკივნეულად რეაგირებს ამ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიებზე.

შექმნილ ვითარებას სწავლობს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილება, რომლის მუშაობაში ასევე ჩაერთვებიან შესაბამისი დარგის მკვლევარები, ზუგდიდისა და ხობის საზოგადოების წარმომადგენლები, კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივ ხელისუფალთა პასუხისმგებელი პირები: მათი ერთობლივი მუშაობის შედეგი შემდეგ წარედგინება საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს. მანამდე კი ჩვენს სულიერ შვილებს მოვუწოდებთ სიმშვიდისა და მოთმინებისკენ; საეკლესიო სიწმიდეები, ღვთის მადლის მაძიებელთ აერთიანებს და არ განჰყოფს; ჩვენს შემთხვევაშიც, ძმათა შორის წამოჭრილი გაუგებრობა ქრისტიანული სიყვარულით და ერთობით უნდა დაიძლიოს. ჩვენი ძალა ჩვენსავე სულიერ ერთობაშია, – ნათქვამია განცხადებაში.

# „ფიტარეთის მონასტერი RMG Gold-ის მიერ დაზიანებულია"

საყდრისის კომიტეტის წევრების ინფორმაციით, უნიკალური ძეგლი – ფიტარეთის მონასტერი RMG Gold-ის მიერ დაზიანებულია.

როგორც პრესკონფერენციაზე საყდრისის კომიტეტის წევრმა ნინო ბურჭულაძემ განაცხადა, 10 დღის უკან, ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის დაცვითი ზონის ტერიტორიაზე გამოჩნდა RMG Gold-ის მუხლუხოიანი ტრაქტორი, რითაც გარკვეული სამუშაოები განახორციელა. ნინო ბურჭულაძის განცხადებით, მძიმე ტექნიკის სამუშაოებმა ვიბრაცია გამოიწვია, რის შედეგადაც დაზიანდა მონასტრის მარჯვენა გალავანი.

– გალავანს ბზარი გაუჩნდა, ასევე, ჩამოცვივდა ქვები. დაზიანებულია მეცნიერულად შეუსწავლელი ისტორიული ხარო, რომელსაც სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს აკლდამად, – განაცხადა ნინო ბურჭულაძემ.

ნინო ბურჭულაძე მოითხოვს, აიკრძალოს ნებისმიერი სამუშაო მონასტრის ტერიტორიაზე და შემოწმდეს გალავნის დაზიანების ხარისხი.

ნინო ბურჭულაძე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, მიხეილ გიორგაძეს მიმართავს, ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების კანონიერებით დაინტერესდეს.

– RMG Gold-ის დირექტორს ჯონი შუბითიძეს მივმართავთ, განმარტოს, როგორ აღმოჩნდა კომპანიის ტექნიკა მონასტრის ტერიტორიაზე, არსებობდა თუ არა ნებართვა და თუ ასეთი ნებართვა არსებობდა, რატომ არ ჩაუტარდა პერსონალს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ძეგლის უსაფრთხოების საკითხზე. ასევე ველოდებით მონასტრის წინამძღვრის განმარტებას, რატომ არ ჰქონდა კომუნიკაცია საპატრიარქოს შესაბამის სამსახურთან. გარდა ამისა, რადგანაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანებასთან, ანუ სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს საქმე, ვითხოვთ მკაცრ რეაგირებას კულტურის მინისტრისგან. გვაინტერესებს, რა უნდა დაემართოს ფიტარეთის მონასტერს, რომ მიხეილ გიორგაძემ ხმა ამოიღოს ძეგლის დასაცავად. ჩვენ ვგეგმავთ, საპროტესტო აქციის ჩატარებას კულტურის სამინისტროსთან და იმედი გვაქვს, ჩვენს მოთხოვნებს გიორგაძის გადადგომის მოთხოვნაც არ დაემატება, – განაცხადა ნინო ბურჭულაძემ.

საყდრისის კომიტეტის წევრებმა ჟურნალისტებს მონასტრის დაზიანების ამსახველი ფოტო მასალა წარუდგინეს.

* * *

ფიტარეთის მონასტერთან დაკავშირებით საყდრისის კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება, – ამის შესახებ ნათქვამია კომპანია RMG-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც კომპანია RMG-ში განმარტავენ, აღნიშნული ტერიტორია კომპანიის საქმიანობასთან არ არის კავშირში და ეს საყდრისის კომიტეტში კარგად უნდა იცოდნენ. მეტიც, კომპანიის საქმიანობა არ ეხება სამონასტრო კომპლექსს და არც გარშემო ტერიტორიას.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, კომპანია RMG თანამშრომლობს ფიტარეთის მოქმედი სამონასტრო კომპლექსის ოფიციალურ და საეკლესიო პირებთან.

– ჩვენი თანამშრომლობა შეეხება სამონასტრო კომპლექსის დაცვისა და მასზე მზრუნველობის საკითხებს. ამჯერად, მონასტრის მომსახურე პირებმა მოგვმართეს ტექნიკური დახმარების თხოვნით და ჩვენ მათ მხოლოდ ტექნიკა ვათხოვეთ. შესაბამისად, სამუშაოთა დაგეგმვასა და წარმოებაზე ჩვენი კომპანია არ არის პასუხისმგებელი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული საკითხის დეტალები კარგად იციან საყდრისის კომიტეტშიც. ამის მიუხედავად, კომიტეტის მხრიდან კომპანია RMG-ს მიმართ, ჩვენი მოსაზრებით, მიზანმიმართულად ვრცელდება არასწორი ინფორმაცია. კომპანია RMG ბოლნისისა და დმანისის რაიონში უკვე წლებია ახორციელებს არაერთ პროექტს. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად ჩვენ ვმონაწილეობთ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებში, აღვადგენთ გზებს, ვარემონტებთ სკოლებსა და ბაღებს, ვეხმარებით კულტურულ თუ სპორტულ კოლექტივებს და სამომავლოდაც მზად ვართ ვაკეთოთ რეალური სიკეთე და საჭირო საქმე, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, კომპანია RMG-ში მიიჩნევენ, რომ კომპანიის მიმართ საყდრისის კომიტეტის წევრები დაგეგმილად და მიზანმიმართულად ავრცელებენ არასწორ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას.

– ჩვენი მხრიდან კომიტეტთან არაერთგზის გამოვთქვით საქმიანი და კონკრეტული ორმხრივი თანამშრომლობის სურვილი. ამის მიუხედავად, მათი მხრიდან მუდმივად არის ფაქტების დამახინჯებისა და ინფორმაციის მათთვის სასურველი ინტერპრეტაციით გავრცელების მცდელობები. აღნიშნული ორგანიზაცია მსგავსი განცხადებებით ახორციელებს არა მხოლოდ ჩვენი საქმიანი რეპუტაციის შემლახავ და ცილისმწამებლურ კამპანიას, არამედ ცდილობს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას. კომპანია RMG-ის მუშაობა არის ღია და ჩვენი გუნდი მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. ჩვენი ქმედებები კომპანიის საქმიანი ინტერესების გარდა, განპირობებულია ქვეყნის, ადამიანებისა და გარემოს მიმართ არსებული პასუხისმგებლობით, –ნათქვამია განცხადებაში.

# ვის რამდენი შეხვდება ივანიშვილის ქონებიდან

## „რობინ ჰუდის ინდექსში“ საქართველო მე-11 პოზიციაზეა



თუ საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი თავის ქონებას თანაბრად გადაუნაწილებს ქვეყნის ღარიბ მოსახლეობას, თითოეულს 13.756 დოლარი შეხვდება. ინფორმაციას ამის შესახებ „ბლუმბერგი“ ავრცელებს.

„ბლუმბერგის“ მიერ გამოქვეყნებული „რობინ ჰუდის ინდექსის“ თანახმად, საქართველოს ერთადერთი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის ქონება 6 მილიარდ დოლარს შეადგენს და ამ თანხის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობაზე გადანაწილების შემთხვევაში, თითოეულს 13.756 დოლარი შეხვდება. „ბლუმბერგის“ ინდექსის თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტი კი ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში 3.699 დოლარია. ინდექსში საქართველო მე-11 პოზიციაზეა.

ინდექსის შედგენისას „ბლუმბერგმა“ რადიკალურად განსხვავებული დემოგრაფიული და ეკონომიკური პირობების მქონე 42 ქვეყანა დაითვალა. „ბლუმბერგის“ ეკონომისტები მონაცემების დათვლისას „ბლუმბერგის მილიარდერთა ინდექსს“ და CIA World Factbook-ს დაეყრდნენ.

„რობინ ჰუდის ინდექსში“ პირველი ადგილი ერგო კვიპროსს – თუ კვიპროსის ყველაზე მდიდარი ადამიანი ჯონ ფრედრიკსენი, რომლის ქონებაც 15 მილიარდი დოლარია, ქვეყნის ღარიბ მოსახლეობას ქონებას გადაუნაწილებს, მაშინ ყოველი ღარიბი კვიპროსელი 45.987 დოლარს მიიღებს. მეორე ადგილზეა შვედეთი – თუ „იკეას“ დამფუძნებელი, მილიარდერი ინგვარ კამპრადი თავის 45-მილიარდიან ქონებას ქვეყნის ღარიბ მოსახლეობაზე გადაანაწილებს, თითოეულ მათგანს 33.149 დოლარი შეხვდება. მესამე პოზიცია კი ტაივანს ერგო, სადაც თუ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანი ცაი ენგ-მენგი 9-მილიარდიან ქონებას ღარიბებზე გადაანაწილებს, თითოეულს 26.957 დოლარი შეხვდება.

„რობინ ჰუდის ინდექსში“ ასევე მოხვდნენ უკრაინა და რუსეთი. ინდექსის თანახმად, თუ უკრაინელი მილიარდერი რინატ ახმეტოვი, რომლის ქონებაც 12 მილიარდი დოლარია, თანხას ქვეყნის ღარიბ მოსახლეობაზე გადაანაწილებს, თითოეულ უკრაინელს 1.057 დოლარი შეხვდება.

„ბლუმბერგის“ მონაცემებით, 16 მილიარდ დოლარს შეადგენს რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის ალიშერ უსმანოვის ქონება, რომლის ღარიბ მოსახლეობაზე განაწილების შემთხვევაში, თითოეულ მათგანს 1.029 დოლარი შეხვდება.

## ერედვისა და აჟარის გამგებლებს ბინები 1 ლარად გადაეცათ

ერედვის გამგებელს ოთარ ცოტნიაშვილს საგურამოში, აჟარის გამგებელს ლაშა მარგიანს კი ქალაქ რუსთავში საცხოვრებელი ბინები სახელმწიფოსგან 1 ლარად გადაეცათ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2016 წლის 10 ოქტომბერს აჟარის გამგებელს ლაშა მარგიანს 1 ლარის საფასურად საკუთრებაში გადაეცა ქალაქ რუსთავში, მე-16 მიკრორაიონში მდებარე ბინა, რომლის ფართობიც 77,4 კვ.მ-ია. ბინის საბაზრო ღირებულება 17.000 ლარია.

იმავე წლის 12 აპრილს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ საგურამოში მდებარე 60 კვ.მ ფართობის ბინა ასევე 1 ლარად გადაეცა ერედვის გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის ოჯახს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსგან ბინის გადაცემამდე, ერედვის გამგებელს უკვე ჰქონდა საკუთარი ბინა. კერძოდ, 2015 წლის 3 დეკემბერს მან 50.000 აშშ დოლარად შეიძინა თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის 6-ში მდებარე ბინა, რომლის ფართობიც 109 კვ.მ-ია.

ლაშა მარგიანი გამგებლის თანამდებობას 2008 წლიდან იკავებს, ხოლო ოთარ ცოტნიაშვილი 2014 წლიდან. მათი ხელფასის ოდენობა თვეში 2 650 ლარია, პრემია-დანამატებთან ერთად კი წლის განმავლობაში 40.000 ლარამდე ანაზღაურებას იღებენ.

საჯარო სექტორშია დასაქმებული ოთარ ცოტნიაშვილის მეუღლე მარინა ქრისტესიაშვილიც, – იგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მთავარ სპეციალისტად მუშაობს. მისი წლიური ხელფასი საშუალოდ 21.000 ლარია.

## ავტობუსებსა და „მარშუტკებში“ სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების დამონტაჟება სავალდებულო გახდება



მთავრობამ „გარკვეული კატეგორიის ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი დაამტკიცა.

დადგენილების თანახმად, რეგლამენტი საერთაშორისო გადაზიდვებში ჩართული ან/და პირველად რეგისტრირებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის 2017 წლის 31 დეკემბრიდან; ხოლო ქვეყნის შიდა გადაზიდვებში ჩართული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება.

როგორც დადგენილებაში ვკითხულობთ, რეგლამენტი ვრცელდება 5 ტონამდე და მეტი სრული მასის, 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და 3.5 ტონამდე და 3.5 ტონიდან 12 ტონამდე მასის მქონე ტვირთის გადასაზიდ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

რეგლამენტი განსაზღვრავს: გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისთვის მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარეებს; სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების დაყენებისა და გამოყენების წესს; სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიებს, რომლებზეც სავალდებულოა ამ რეგლამენტის დებულებების გამოყენება და სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების დაყენებასა და გამოყენებაზე ზედამხედველობის განხორციელების წესს.

რეგლამენტის თანახმად, 5 ტონამდე და 5 ტონაზე მეტი მასის მქონე, მგზავრთა გადამყვანი ტრანსპორტის გზებზე გამოყენება დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღჭურვილი იქნება სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობით, რომლითაც მათი სიჩქარე საათში 100 კილომეტრზე მეტი არ იქნება; ხოლო 3.5 ტონამდე ან მეტი სრული მასის მქონე ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალების სიჩქარე საათში 90 კილომეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

## მსუბუქი ავტომობილების აქციზიდან ბიუჯეტში 71 მილიონ ლარზე მეტი შევიდა



1 იანვრიდან მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის ზრდის შემდეგ, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 13.5 მილიონი ლარით მეტი შევიდა.

კერძოდ, მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ბიუჯეტში 71,3 მილიონ ლარზე მეტი შევიდა, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში 57,8 მილიონ ლარზე მეტი იყო.

ჯამში, ზოგადად აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ მიმდინარე წლის გასულ თვეებში 771 მილიონ 667 ათას ლარზე მეტი შეადგინა, რაც დაახლოებით 176 მილიონი ლარით აღემატება წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, მარჯვენასაჭიანების შემთხვევაში გასამმაგდა, ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში კი შემცირდა.

## ქართული წარმოების ქათამი შესაძლოა გაძვირდეს



საქართველოში ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცი შესაძლოა გაძვირდეს.

მიზეზი მთავრობის დადგენილებაა, რომლის მიხედვითაც, მწარმოებელს ვეტერინარული შემოწმებისთვის ერთ ფრთა ფრინველზე 5 თეთრის გადახდა მოუწევს. შესაბამისი ცვლილება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ კანონში შევიდა. როგორც ასოციაცია მომავლის ფერმერში აცხადებენ, ახალი გადაწყვეტილება მეფრინველეობის დარგს მნიშვნელოვნად დააზარალებს.

კომპანია ჩირინას დამფუძნებელი მთავრობის ახალ დადგენილებას ბიზნესზე ზეწოლის მცდელობად აფასებს. რევაზ ვაშაკიძის განმარტებით, ყველა მსხვილ მწარმოებელს ისედაც დანერგილი აქვს ჰასპისა და აისოს სტანდარტები და, შესაბამისად, ხარისხიც კონტროლდება. აქედან გამომდინარე ვაშაკიძე აცხადებს, რომ მეფრინველეობის დარგისთვის კიდევ ერთი გადასახადის დაწესება ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს აუარესებს და ადგილობრივი წარმოების განვითარებას ხელს უშლის.

## პარკირების წესების დარღვევის შედეგად თბილისის ბიუჯეტში 5.1 მილიონი ლარი შევიდა



მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პარკირების წესების დარღვევის გამო დაკისრებული ფულადი სანქციის შედეგად, დედაქალაქის ბიუჯეტში 0.6 მილიონი ლარით მეტი შევიდა.

კერძოდ, იანვარ-ივლისში თბილისში ავტომობილების პარკირების წესების დარღვევის შედეგად დედაქალაქის ბიუჯეტში 5.1 მილიონი ლარი შევიდა. მაშინ, როცა 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 4.5 მილიონი ლარი იყო.

## ბორჯომის ხეობა აზერბაიჯანისა და სომხეთის სამაშველო ჯგუფებმა დატოვეს




ბორჯომის ხეობა აზერბაიჯანისა და სომხეთის სამაშველო ჯგუფებმა უკვე დატოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, სამაშველო ჯგუფებმა ბორჯომის ხეობა ეტაპობრივად დატოვეს.

ბორჯომის ხეობას დატოვებენ მაშველები ბელარუსიდან და თურქეთიდან.

რაც შეეხება სოფელ დაბასთან არსებულ საგანგებო შტაბს, ის კვლავ განაგრძობს მუშაობას და ადგილზე რჩებიან ქართველი მეხანძრე – მაშველები.

## რუსთავში ცხოველის წამების მორიგი ფაქტი დაფიქსირდა

რუსთავში ცხოველის წამების მორიგი ფაქტი დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა მეგობრების“ ხელმძღვანელმა ირინა ლიკლიკაძემ განუცხადა, მეცხრამეტე მიკრორაიონში „ლეკვს ფეხები დააჭრეს და პატრონს კარებთან მიუგდეს“.

შეგახსენებთ, რომ რუსთავში ეს ბოლო ორ თვეში ცხოველის წამების მეხუთე ფაქტია. წინა შემთხვევებში ინციდენტში მონაწილე პირებს სასამართლომ გირაო შეუფარდა.



## თბილისის თიზ-ში კომპანიები სექტემბრის მეორე ნახევრიდან შევლენ

თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში კომპანიები სექტემბრის მეორე ნახევრიდან შევლენ. როგორც „საქმის კურსს“ თიზ-ის ხელმძღვანელმა გიორგი ტაბიძემ განუცხადა, თიზ-ში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გაჭიანურდა რიგი ტექნიკური მიზეზების გამო, თუმცა, მისი დასრულებისთანავე თბილისის ინდსუტრიულ ზონაში კომპანიები დაიწყებენ ოპერირებას.

გიორგი ტაბიძის თქმით, საუბარია ავეჯის მწარმოებელ, ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებიც სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან ინტერესდებიან თბილისის თიზ-ში ოპერირებით.

მისი განმარტებით, ინფრასტრუქტურის სამუშაოები ჯერ კიდევ ივლისის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ჯერ ამინდებმა, შემდეგ კი ტექნიკურმა სამუშაოებმა შეუშალათ ხელი. თბილისის ინდუსტრიული ზონის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ადგილზე გზის ზედა საფარის დაგების სამუშაოებია დარჩენილი, გაყვანილია ელექტროობა, წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემები.

გაზის შეყვანაზე მუშაობას თიზ-ის მმართველი მოგვიანებით დაიწყებს.

**ბიზნესმედია**

## გორში ფეხმძიმე ქალს 900 ლარი ბანკომატთან დარჩა

გორში, ბანკომატის აპარატთან, მოქალაქეს ასაღებად გამზადებულ თანხა, დაახლოებით 900 ლარი, ადგილზე დარჩა.

ამის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა იმ პირის ძებნა დაიწყეს, რომელმაც სხვისი კუთვნილი თანხა აიღო.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, თანხა ფეხმძიმე ქალს დარჩა. პლასტიკური ბარათის დაბრუნებამდე, ბანკომატში ჯერ თანხის აღება ხდება, შემდეგ ბარათის.

საქართველოს ბანკისგან განსხვავებით, სხვა ბანკების ბანკომატებზე, მოქალაქეს, თანხის აღებამდე, ჯერ პლასტიკური ბარათი უბ-




რუნდება უკან, შემდეგ – თანხა.

– პიროვნება დადგენილია. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ქურდობას, სხვისი ნივთის დაუფლებას.

შემთხვევა 24 აგვისტოს მოხდა. ამ დროის განმავლობაში პოლიციელები ვიდეოჩანაწერებს ათვალიერებდნენ. აღმოჩნდა, რომ ბანკომატის წინ ვიდეო კამერა არ მუშაობს. პიროვნების დადგენა სხვა ვიდეო კამერის ჩანაწერით მოხერხდა.

თანხა კინოთეატრ „გამარჯვების" უკან მხარეს იპოვეს.

## ახალციხეში ბარმენი და მიმტანი დაჭრეს, ბრალდებული დაკავებულია




შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალციხის ციხის კომპლექსში, რესტორან „რაბათის" თანამშრომლების დაჭრის ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

როგორც „ნიუპოსტს" უწყებაში უთხრეს, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს .

თვითმხილველების თქმით, შემთხვევა პარასკევს მოხდა. უცნობმა პირმა რესტორნის მიმტანსა და ბარმენს, ცივი იარაღით ხელისა და მუცლის არეში, ჭრილობები მიაყენა.

რესტორანში აცხადებენ, რომ ბრალდებული ინცინდენტისას ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მან დაწესებულების თანამშრომლები შენობის გარეთ გაიყვანა და დაჭრა.

ორივე მათგანს სამედიცინო დახმარება კლინიკა „იმედში" გაუწიეს. მუცლის არეში დაჭრილი ახალგაზრდა ოპერაციის შემდეგ მკურნალობას კლინიკაში გადის, ხელის არეში დაშავებული კი სახლში გაწერეს.

# ჩოხატაური – 4 შვილის დედას ქმარი 14 წლის განმავლობაში ბავშვების თანდასწრებით სცემდა



ლოთობა, უსაფუძვლო ეჭვიანობა, ფიზიკური ძალადობა, არასრულწლოვანი შვილებისთვის მორალური ზიანის მიყენება – ეს ის არასრული ჩამონათვალია ყველა იმ ძალადობისა, რასაც 47 წლის გ.მ. მისივე მეუღლის მტკიცებით, ჩოხატაურის სოფელ სამებაში საკუთარ ოჯახში, 40 წლის მეუღლის, ზ.ჩ.-ს, ასევე, 4 არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადიოდა.

როგორც ძალადობის მსხვერპლი ქალი აღნიშნავს, ის თვეში მინიმუმ ორჯერ მაინც, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო. მეუღლე გამუდმებით სვამდა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ბავშვების თანდასწრებით ცოლს ფიზიკურად უსწორდებოდა.

ერთ-ერთი მორიგი ძალადობის მომენტისთვის ქალი ორსულად იყო, ფიზიკურმა ძალადობამ კი ორსულობის შეწყვეტა გამოიწვია.

ქალს არაერთხელ ჰქონია სახლიდან გაქცევის მცდელობა, მაგრამ ყოველი მცდელობა სასტიკი ცემით და მის მიმართ იარაღის სროლითაც კი დასრულებულა. ასეთ გაუსაძლის მდგომარეობას ისიც ემატებოდა, რომ ოჯახში, სადაც ოთხი არასრულწლოვანი იზრდება, საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობებიც ძალიან მძიმეა. ზამთარში ქალს პატარა ბავშვით ხელში შეშა ხშირად ჩამოუზიდავს ტყიდან. სახლში წესიერი სკამი და საწოლიც კი არ აქვს. ბავშვების საკვებსაც მხოლოდ სოციალური დახმარებით ყიდულობს.

– რამდენჯერმე მქონდა მცდელობა პოლიციაში დარეკვის, მაგრამ მეუღლე ამის საშუალებას არ მაძლევდა, – აცხადებს მომჩივანი.

ქალბატონმა ზ.ჩ.-მ, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ძალადობის დროს, ქორწინებიდან მეთოთხმეტე წელს, გადაწყვიტა და, როგორც იქნა, მოახერხა პოლიციაში დარეკვა.

დღეისათვის დაპირისპირებამ სასამართლოში გადაინაცვლა და ოჯახური ძალადობის საკითხს ოზურგეთის რაიონული სასამართლო, მოსამართლე ბიძინა სტურუა განიხილავს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მოძალადე მეუღლეს სამწლიანი ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სასამართლო პროცესი 2017 წლის 6 სექტემბერს გაგრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეს სასამართლო იხილავს, ქალი შიშობს, რომ ძალადობა შემდგომშიც გაგრძელდება.

დიდია იმის ალბათობა, რომ მეუღლის აგრესია მის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდეს. ზ.ჩ. მისთვის და მისი შვილებისათვის თავშესაფარს ითხოვს, რათა თავი დაიცვას მორიგი ძალადობისგან.

იგი თხოვნით მიმართავს კომპეტენტურ პირებს, დაეხმარონ მას და მის შვილებს. უზრუნველყონ თავშესაფარში მათი დასახლება და უსაფრთხოება.

**ნიუპოსტი**

## შვილი ზურაბ ნეფარიძე – „მამა ზურაბ ნეფარიძის წინააღმდეგ ჩვენება არ მიმიცია"



საკრებულოს დაკავებული დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის შვილი, ასევე ზურაბ ნეფარიძე აცხადებს, რომ მას მამის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია.

– მე მამაჩემის წინააღმდეგ ჩვენება არ მიმიცია. გამოძიებას ვუთხარი ის, რასაც ზურაბ ნეფარიძეც ამბობდა, რომ ბიუროს თანამშრომელთა ხელფასის ნაწილი კომუნალურ გადასახადებს ხმარდებოდა. მზად ვართ გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის. მამაჩემს ქრთამი არ აუღია, – ამბობს დაკავებულის შვილი.

გუშინწინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატ ზურაბ ნეფარიძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე მსჯელობისას გაირკვა, რომ მის წინააღმდეგ ჩვენება მისმა შვილმაც მისცა. პროცესზე პროკურორმა განაცხადა, რომ საქმის მასალების თანახმად, ზურაბ ნეფარიძის შვილი მამის დანაშაულში მონაწილეობდა.

ანტიკორუფციულმა სააგენტომ თბილისის საკრებულოს წევრი, ზურაბ ნეფარიძე 26 აგვისტოს დააკავა. ის 2014 წლიდან თბილისის საკრებულოს წევრი და ისნის მაჟორიტარი დეპუტატია „ეროვნული ფორუმიდან". წარსულში ნეფარიძე შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

ზურაბ ნეფარიძეს და მის ცოლისდას, ანა მენთეშაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმეზე წინასასამართლო სხდომა 16 ოქტომბერს დაინიშნა.

## გურიაში ავარიაში ბრალდებულ ემჟან ემჟანოვს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ყაზახეთის მოქალაქეს ემჟან ემჟანოვს, რომლის ტრაილერზე არსებული მისაბმელის მოწყვეტამ, გასულ კვირას, თბილისის ბათუმის ავტომაგისტრალის ლანჩხუთის მონაკვეთზე 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი შეუფარდა.

გამოძიება ემჟანოვს ტრანსპორტის მოძ-



რაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესის დარღვევას ედავება, რომელმაც ხუთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით.

თბილისი-ბათუმის საავტომობილო გზაზე, ჩიბათის მონაკვეთზე (სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში) 24 აგვისტოს, დილის 3 საათზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, 1 კი მძიმედ დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, ყაზახეთიდან თურქეთში მიმავალ სატვირთო მანქანას მისაბმელი მოწყდა, რომელიც მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა.

მსუბუქ ავტომანქანაში ქობულეთიდან სურამში მიმავალი ერთი ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ.

უბედური შემთხვევის შედეგად მხოლოდ ოჯახის ბაბუა გადარჩა, რომელიც ამ დროისთვის ლანჩხუთში „მედალფას" სამედიცინო ცენტრშია მოთავსებული, მისი მეუღლე, შვილი, რძალი და შვილიშვილები ადგილზე დაიღუპნენ.

## ავარია ბათუმში – დაშავებულია 8 წლის ბავშვი

ბათუმში, მახინჯაურის მონაკვეთზე, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 8 წლის ბავშვი დაშავდა.

მოზარდს დაჟეჟილობა აღენიშნება.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.




*კულტურა*

# თოჯინების თეატრის თანამშრომლები კულტურის მინისტრს მიმართავენ

თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის 31 თანამშრომელი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს ერთობლივი განცხადებით მიმართავს:

– ჩვენ, თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები, ვავრცელებთ ამ განცხადებას, სწორედ ახლა, როცა თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა შემრჩევი სარეკომენდაციო საბჭოს სხდომა უკვე ჩატარებულია და გადაწყვეტილება – მიღებული. პროცესში ჩართვისგან აქამდე შეგნებულად ვიკავებდით თავს, რადგან არ გვინდოდა, ჩვენს განცხადებას სარეკომენდაციო საბჭოზე ზეწოლის ელფერი მისცემოდა.

სარეკომენდაციო საბჭოს წევრებმა ყველაზე უკეთ იციან, რა ამოცანები შეასრულა



თეატრმა და რა სირთულეების გადალახვა მოუხდა მას. საბჭოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობა თვალყურს ადევნებდა თეატრის განვითარების დინამიკას ბოლო ოთხ წელში და პროცესისადმი მხარდაჭერა არაერთხელ გამოუხატავთ საჯარო სივრცეში, რეცენზიებსა თუ ვიდეო მიმართვებში.

აღნიშნული განცხადებით, ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას – თეატრის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა თეატრში მოქმედი ხელმძღვანელობის დარჩენას და იტოვებს იმედს, რომ სამომავლო თანამშრომლობა ამავე მოცემულობაში გაგრძელდება.

შეუძლებელია უშუალოდ თეატრში მომუშავე ადამიანებზე უკეთ და ადეკვატურად შეაფასოს ვინმემ ის პოზიტიური ცვლილებები, რომელიც უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობითა და ჩართულობით მოხდა. ჩვენ ყველაზე ნათლად დავინახეთ, საიდან სად მოვიდა თეატრი და ის, რომ თეატრმა მყარად დაიკავა თავისი ადგილი საქართველოსა და საერთაშორისო თეატრალურ რუკაზე, სწორედ არსებული მმართველობის დამსახურებაა.

გამომდინარე აქედან, იმ ფონზე, როცა თეატრების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ იცვლება მოქმედი სამხატვრო ხელმძღვანელი, სრულიად გაუგებარი ხდება, რატომ გაჩნდა ეს საჭიროება სწორედ იმ თეატრში, რომელმაც უმოკლეს დროსა და ურთულეს პირობებში რევოლუციური მასშტაბითა და სულისკვეთებით დაძრა ადგილიდან გაყინული სათეატრო პროცესი, გადაახალისა ზოგადი პოლიტიკა, განაახლა რეპერტუარი, ბოლომდე გაიაზრა თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, დაუახლოვდა მაყურებელს.

იმედს ვიტოვებთ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნების პროცესი იქნება ღია, გამჭვირვალე და შედეგები არ გააჩენს კითხვებს არც ერთი მხარისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თეატრის თანამშრომლები აუცილებლად გადავდგამთ საპასუხო, ქმედით ნაბიჯს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ტილერსონმა მოლდოველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა მოლდოველებს მიულოცა დამოუკიდებლობის დღე.

ტილერსონმა მხარი დაუჭირა მოლდოვის პროდასავლურ კურსს და გამოთქვა იმედი, რომ ის შენარჩუნებული იქნება.

– აშშ სრულ მხარდაჭერას უცხადებს მოლდოვას, – თქვა ტილერსონმა.

## მაკრონის რეიტინგი დაეცა



საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონის რეიტნგი ვარდნას განაგრძობს. თუკი მაისში მაკრონით უკმაყოფილო მხოლოდ ფრანგების 43% იყო, ახლა ეს მაჩვენებელი 57 %-მდე გაიზარდა.

პრეზიდენტის მოღვაწეობით კმაყოფილი მხოლოდ მოსახლეობის 40%-ია.

## რუსეთში მოხუცთა თავშესაფარი დაიწვა. არის მსხვერპლი



კრასნოიარსკში მოხუცთა თავშესაფარში გაჩენილი ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა. სამი მოხუცებულის ბედი ამ დრომდე გაურკვეველია.

რუსული მედიის ცნობით, მოხუცთა პანსიონატ „მარგალიტში“ ცეცხლმა 200 კვადრატული მეტრის ფართობი მოიცვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## პაკისტანი: ხელისუფლებამ ანტიამერიკული დემონსტრაცია დაარბია




პაკისტანის ხელისუფლებამ ანულირებულად გამოაცხადა ქვეყანაში მაღალი რანგის ამერიკული დელეგაციის ვიზიტი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამისი მიზეზი პრეზიდენტ ტრამპის ბრალდება გახდა. აშშ-ის ლიდერმა განაცხადა, რომ პაკისტანის ხელისუფლება თალიბებს თავშესაფარს აძლევს. პაკისტანის მთავრობა ამას უარყოფს.

ამავე დროს, ხელისუფლებამ ქალაქ კარაჩში ანტიამერიკული დემონსტრაცია სასტიკად დაარბია. პოლიციამ გამოიყენა ცრემლმდენი გაზი და ხელკეტები. დემონსტრანტებს შორის არიან დაშავებულები.

## გენერალი ნიკოლსონი: „ავღანეთში ექსტრემისტებს დავამარცხებთ“



აშშ-ის ჯარების სარდალმა ავღანეთში გენერალმა ნიკოლსონმა განაცხადა, რომ ექსტრემისტებთან ბრძოლა ინტენსიურად მიმდინარეობს. ხელშესახები შედეგები უკვე არის. ისლამური სახელმწიფოს მიერ ავღანეთის ტერიტორიაზე ხალიფატის შექმნის მცდელობა აღკვეთილია. ლიკვიდირებულია ტერორისტების ბევრი ლიდერი. ზარალი, რომელიც ექსტრემისტებს მიადგათ, კოლოსალურია.

– ავღანეთში ექსტრემისტებს აუცილებლად დავამარცხებთ! ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური სახელმწიფოს ფილიალი განადგურებული იქნება, – ამბობს ნიკოლსონი.

## ისრაელი გაეროს დაფინანსების შეწყვეტით იმუქრება



ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ცილი ჰოტოველიმ განაცხადა, რომ გაეროში ისრაელის მიმართ არაობიექტური მიდგომა დომინირებს. ქვეყნის მიმართ უსამართლო ბრალდებები გაისმის და ამასთან შეგუება უკვე აღარ შეიძლება.

– თუკი ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, გაეროს დაფინანსება შევაჩეროთ, – თქვა ჰოტოველიმ.

გაეროს გენერალური მდივანი გუტიერეში აპირებს, ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს ისრაელს. ვარაუდობენ, რომ გაეროსა და ისრაელის ურთიერთობები ამ ვიზიტის შემდეგ გაირკვევა.

## ირანში 4,9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა



ირანში 4,9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. დაშავდა სულ მცირე 10 ადამიანი.

„ასოშიეთედ პრესის“ ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი თეირანიდან ჩრდილო-დასავლეთით, 375 კილომეტრში მდებარეობდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

როგორც ირანის სახელმწიფო მედიასაშუალებები იტყობინებიან, შარაბიანის რაიონში რამდენიმე სახლი დაზიანდა.

ირანში მიწისძვრები ხშირად ხდება, 2003 წელს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ბამში სტიქიას 26 ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### კალეიდოსკოპი

## ამერიკელი ჟურნალისტი მიშელ ობამას ტრანსსექსუალობას ამტკიცებს



ამერიკელმა ულტრამემარჯვენე ტელეწამყვანმა ალექს ჯონსმა საკუთარ შოუში „საინფორმაციო ომები“ განაცხადა, რომ აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი მიშელ ობამა ტრანსსექსუალია. ტელეგადაცემის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

ჟურნალისტის თქმით, მისი თეორიის მტკიცებულებები არსებობს, რომელთა უარყოფა შეუძლებელია. საკუთარ პროგრამაში მან წარმოადგინა ვიდეო და ფოტომასალები, რომლებზეც, მაგალითად, მიშელ ობამას კაბაზე ან შარვალზე სხეულის ქვედა ნაწილში ამობურცული ადგილი ეტყობა. გარდა ამისა, ჯონსმა აჩვენა ორი ფრაგმენტი, რომლებზეც ყოფილი პრეზიდენტი საკუთარ მეუღლეზე ამბობს მაიკლი, შემდეგ კი ნათქვამს ასწორებს და ამბობს მიშელს.

ტელეწამყვანმა ასევე ვარაუდი გამოთქვა, რომ ყოფილი პრეზიდენტის შვილებიც „წვეროსნები“ არიან.

მიშელ ობამას სქესის კუთვნილებაზე მსჯელობა 2009 წელს მისი მეუღლის პრეზიდენტად არჩევისთანავე დაიწყო. სოციალურ ქსელებში ხშირად აპყრობდნენ ყურადღებას ყოფილი პირველი ლედის სხეულის აგებულებას, მის ზოგიერთ ნაწილს, მაგალითად, ხელებს და ყურებს. თავად ბარაკ ობამა ლგბტ საზოგადოების მხარდაჭერითაა ცნობილი და სწორედ მის დროს მოხდა ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება.

## ჟურნალმა ||e-მ მაკრონის ინტერვიუთი გაყიდვების რეკორდი მოხსნა



ჟურნალ Elle-ს ნომერმა, რომელშიც საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლის ბრიჟიტ მაკრონის ექსკლუზიური ინტერვიუა დაბეჭდილი, ხოლო მისი ფოტო გარეკანს ამშვენებს, გაყიდვების 10-წლიანი რეკორდი მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ნომერი 18 აგვისტოს გამოვიდა. 10 დღეში ჟურნალი 530 ათასმა ადამიანმა იყიდა, ხოლო ინტერნეტში ინტერვიუ დაახლოებით 30 მილიონმა ადამიანმა წაიკითხა. ინტერვიუში მაკრონი საუბრობს საფრანგეთის პრეზიდენტთან სიყვარულის ისტორიაზე, ასევე საკუთარ მოღვაწეობაზე პირველი ლედის რანგში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● საწყობში გვჭირდება ორი თანამშრომელი, მეწარმის გამოცდილებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 599-61-75-82.

● განყოფილების ხელმძღვანელს ესაჭიროება თანაშემწე პერსონალის შესარჩევად. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-57-83-54.

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ვაისმა შეკრება ცვლილებით დაიწყო

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გუნდი ავარჯიშა. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით ირლანდიასთან და ავსტრიასთან შეხვედრებისთვის ჩვენი გუნდი 26 ფეხბურთელით მოემზადება. ანუ, ბოლოს გამოცხადებული შემადგენლობით ერთი ცვლილებაა – ვაისმა ნაკრებში თბილისის ლოკომოტივის თავდამსხმელი ირაკლი სიხარულიძე მიიწვია.

სიხარულიძე ნაკრების დებიუტანტია. რკინიგზელთა შემტევმა თავი ეროვნულ ჩემპიონატში გამოიჩინა, რომელსაც 19 გატანილი გოლით ბომბარდირთა სათავეში უდგას.

სიხარულიძესთან ერთად ეროვნული ჩემპიონატიდან მხოლოდ როინ კვასხვაძეა მიწვეული – მეკარე, რომელიც ქუთაისის ტორპედოს ღირსებას იცავს.

საქართველო-ირლანდიის შეხვედრა თბილისში 2 სექტემბერს, 20:00 საათზე დაიწყება. ავსტრიისა და საქართველოს მატჩი ვენაში, 5 სექტემბერს 22:45 საათზე დაიწყება.

***სადღეისოდ ჩვენი ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:***

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯემალ ტაბიძე (უფა, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა) გიორგი ნავალოვსკი (სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯაბა კანკავა (უგუნდო), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი) ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** ლადო დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავ-



სტრია), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი).

ამ დროისთვის, კიდევ 8 ფეხბურთელს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს.

ნუკრი რევიშვილი, ლევან გეგეჭკორი, ბაქარ ქარდავა, გიორგი ჩაკვეტაძე (ყველა დინამო თბ), თეიმურაზ შონია (დინამო ბთ), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი).

საქართველო-ირლანდიის მატჩის ბილეთები როგორც ონლაინ-რეჟიმში, აგრეთვე „დინამო არენას" სალაროებში იყიდება.

მატჩის ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ბორჯომის ტყის აღდგენით სამუშაოებს.

# დილამ სერია შეწყვიტა და საქმე გამოიკეთა



**დილა-კოლხეთი 3:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ნუბიო (12), 2:0 ფანცულაია (69 ), 3:0 კირკიტაძე (87)

**დილა:** მუჯრიშვილი, პაპავა, რაზმაძე, ფანცულაია (ტარავალიე 72), აბუბაკარი, ალჰასანი (კირკიტაძე 62), სოფრომაძე, ნუბიო, მორასი, პედრინიო (ძარია 46), ჟან დერეტი

კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კაკულია, ბროვკო (შალიკაშვილი 70), დერებჩინსკი (ბუხაიძე 86), ჯანელიძე, ჟიშკარიანი, ბოლქვაძე (მაჩარია 76), ვ.კილასონია

**გაძევება:** ვარლამ კილასონია (82)

23-ე ტურის ბოლოს შეხვედრაში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გორის დილა ფოთის კოლხეთს დაუპირისპირდა და 3:0 დაამარცხა. ამ გამარჯვებით დილამ ექვსმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა და ეროვნულ ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას განაგრძობს.

კოლხეთმა ყოფილი მთავარი მწვრთნელის, გელა სანაიას გარეშე პირველი მატჩი ჩაატარა – ფოთელთა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ნუგზარ თვარაძე ასრულებდა.

მაყურებელმა კი 2 განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველ ნახევარში ორივე გუნდი აქტიურობდა და მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. მეორე ტაიმში კი გორელებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და შეხვედრა მათთვის სასურველი შედეგით დაასრულეს.

ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, საჯარიმოში შეჭრილმა ფლავიო ნუბიომ ახლო კუთხეში გაიტანა. ფოთელთა მხრიდან წონასწორობის აღდგენის კარგი შანსები ჰქონდათ ალექსანდრ დერებჩინსკისა და გიორგი ჯანელიძეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში არაზუსტად იმოქმედეს.

საბოლოო შედეგი შეხვედრის მიწურულს დაფიქსირდა: 70-ე წუთზე დათო კირკიტაძის ჩაწოდების შედეგად თავური დარტყმით გიორგი ფანცულაიამ გაიტანა. 88-ე წუთზე კი, ძარიას გადაცემით თავად კირკიტაძემ აიღო მეტოქის კარი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 24 | 18 | 2 | 4 | 62-17 | 56 |
| 2.ტორპედო | 24 | 14 | 6 | 4 | 34-18 | 48 |
| 3.სამტრედია | 24 | 13 | 6 | 5 | 36-24 | 45 |
| 4.ლოკომოტივი | 24 | 12 | 3 | 9 | 42-31 | 39 |
| 5.ჩიხურა | 24 | 10 | 4 | 10 | 30-39 | 34 |
| 6.საბურთალო | 24 | 10 | 4 | 10 | 32-28 | 34 |
| 7.დინამო (ბთ) | 24 | 8 | 2 | 14 | 22-32 | 26 |
| 8.დილა | 24 | 6 | 7 | 11 | 28-35 | 25 |
| 9.კოლხეთი | 24 | 4 | 7 | 13 | 21-43 | 19 |
| 10.შუქურა | 24 | 2 | 5 | 17 | 22-62 | 11 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 19 ბურთი; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 12, ბექა მიქელთაძე, ბაჩანა არაბული (ორივე დინამო თბ) – 11; მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), მიკოლა კოვტალიუკი (დინამო თბ) – 10.

# ზაზა ფაჩულია: „ევრობასკეტზე ვითამაშებ"

31 აგვისტოს სტარტს აიღებს ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ბევრი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი დიდი დანაკლისით ჩაივლის.

ტურნირზე არ ითამაშებენ მილოშ თეოდოსიჩი, ნიკოლა იოკიჩი (ორივე სერბეთი), ჯიანის ანტეტოკუმბო (საბერძნეთი), დანილო გალინარი (იტალია), სერხიო ლული, რუდი ფერნანდესი (ორივე ესპანეთი), ნიკოლა ბატუმი (საფრანგეთი).

დიდი შანსი იყო, მათ რიგებს შეერთებოდა ნბა-ს ჩემპიონი ზაზა ფაჩულია, რომელმაც თბილისში ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო, თუმცა, კონტინენტის პირველობაზე კოჭმტკივანი ფაჩულიას გამოსვლის იმედი იზრდება – ნაკრების კაპიტანმა თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა და ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესად აქვს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და გოლდენ სტეიტ უორიორზის მეფარეს ეუროჰუპსის ჟურნალისტი ესაუბრა.

***– როგორ მიდის რეაბილიტაციის პროცესი?***

– ყოველდღიურად თავს სულ უფრო უკეთ და უკეთ ვგრძნობ. ექიმებმა მკურნალობის სათანადო კურსი დამინიშნეს, რასაც თავისი დადებითი შედეგი მოაქვს. ზუსტად არ ვიცი, აღდგენით პროცესს რამდენი დღე დასჭირდება, მაგრამ სწორი მიმართულებით მივდივართ. ძალიან მიწყობენ ხელს მწვრთნელებიც.

***– ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებთ?***

– იმედია, ევროპის ჩემპიონატის სტარტამდე საბოლოოდ მოვმჯობინდები და კონტინენტის პირველობაზე ვიასპარეზებ. ეს ჩემი ამოცანა და უდიდესი სურვილია. ისე კი, ჯანმრთელობა უმთავრესია, მით უმეტეს, როდესაც კალათბურთელს კოჭი აწუხებს.

***– გოლდენ სტეიტის ხელმძღვანელობა ტრავმის შესახებ საქმის კურსშია?***

– ცხადია. გოლდენ სტეიტის ექიმებს ყოველდღიურად ვაცნობ ინფორმაციას. მათ მუდმივად საქმის კურსში ვაყენებ, ინფორმაციას ვაძლევ ჩემი კოჭის მდგომარეობაზე ყოველი ვარჯიშის წინ და წვრთნის დასრულების შემდეგ. მათ ყოველი წვრილმანის თაობაზე ვეუბნები.



***– პროცენტულად თუ შევაფასებთ, რა შანსია, რომ მაყურებელი ევრობასკეტზე გიხილავთ?***

– ყველანი დიდად მოწადინებულები ვართ, კონტინენტის პირველობაზე რომ ვითამაშო. საქართველოში გულშემატკივრებს ვუყვარვარ და მაფასებენ, ამიტომაც ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვა ჩემი მოვალეობაც არის. ვამაყობ, საქართველოს ნაკრების წევრი რომ ვარ და ჩემს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე წარმოვადგენ. ვიმეორებ, თავს უკეთ ვგრძნობ. ბოლო ვარჯიშზე თითქმის შეუზღუდავად ვმოქმედებდი. თუკი ასეთივე პროგრესი გაგრძელდა, ევრობასკეტზე აუცილებლად გამოვალ.



# ამერიკის ღია პირველობას ფავორიტებიდან ნადალი და ფედერერი შემორჩნენ

დღეს ნიუ იორკში ამერიკის ღია პირველობა დაიწყო, რომელიც ვარსკვლავების გარეშე ჩაივლის.

ტურნირს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ბრიტანელი ენდი მარეი ტრავმის გამო გამოტოვებს. ამის შესახებ ზედ ტურნირის წინ გულშემატკივრებს განუცხადა. ამერიკის ღია პირველობას ასევე დააკლდება ნოვაკ ჯოკოვიჩიც, რომელიც კორტზე მიმდინარე წლის ბოლომდე არ დაბრუნდება. ტრავმის გამო ტურნირს ასევე კეი ნიშიკორი, სტენ ვავრინკა და მილოშ რაონიჩიც დააკლდებიან.

სამაგიეროდ, მწყობრში არიან და ჩემპიონობისთვის ემზადებიან მსოფლიოს მოქმედი პირველი და მესამე ჩოგნები, რაფა ნადალი და როჯერ ფედერერი.

ფედერერმა მონრეალის მასტერსის ფინალში მარცხის შემდეგ ცინცინატის მასტერსი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა. როგორც თავად შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა აღნიშნა, მას დისკომფორტი აწუხებდა და დაგეგმილ მასტერსში მონაწილეობა სწორედ ამიტომ ვერ მიიღო, მაგრამ 19-გზის გრანდ სლემის გამარჯვებული წლის ბოლო გრანდ სლემს მესამე განთესვით უბრუნდება.

ამერიკის ღია ჩემპიონატში საქართველოს პირველი ჩოგანი, ნიკოლოზ ბასილაშვილიც ჩაერთვება. ბასილაშვილის პირველი მეტოქე 20 წლის ამერიკელი ჯარედ დონალდსონი იქნება.

# შედეგები

**27 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ევერტონი ........................... 2:0
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი .................. 1:1
ლივერპული-არსენალი ................. 4:0
ტოტენჰემი-ბარნლი ....................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-0 | 9 |
| 2.ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| 3.ჰადერსფილდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4.სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 5.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 6.ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 7.უოტფორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8.საუთჰემპტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 10.ბარნლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11.სტოკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 13.სუონსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 14.ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 15.ლესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 16.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 17.ბრაიტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 18.ბორნმუთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ლეგანესი ..................... 0:1
ეიბარი-ბილბაო ............................. 0:1
ხეტაფე-სევილია ............................ 0:1
რეალი-ვალენსია ............................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ლეგანესი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 5.რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 6.ხირონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ლევანტე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 11.ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 12.ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13.ესპანიოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ხეტაფე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15.დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 16.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 19.ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-გრანადა ........................ 1:1
ხიხონი-ლუგო ................................ 2:0
კადისი-ალკორკონი ....................... 0:0
რეუსი-ხიმნასტიკი ......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლაიპციგი-ფრაიბურგი ................... 4:1
ჰანოვერი-შალკე ............................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3.ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.ჰანოვერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 5.გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ლაიპციგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10.შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 11.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 12.აუგსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.ლევერკუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 15.ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.მაინცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 17.კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 18.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-დინამო .............................. 3:2
ზანდჰაუზენი-ფორტუნა ................ 1:2
უნიონი-არმინია ............................ 1:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-სასუოლო ........................ 3:0
კიევო-ლაციო ................................ 1:2
კროტონე-ვერონა .......................... 0:0
ფიორენტინა-სამპდორია .............. 1:2
მილანი-კალიარი ........................... 2:1
ნაპოლი-ატალანტა ........................ 3:1
სპალი-უდინეზე ............................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 5.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6.ტორინო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 7.სპალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 13.ვერონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 14.კროტონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 15.სასუოლო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 16.უდინეზე | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.ბენევენტო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 18.ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19.კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 20.ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ფოჯა ............................... 5:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

გენგამი-სტრასბური ....................... 2:0
ანჟე-ლილი .................................... 1:1
მონაკო-მარსელი ........................... 6:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| 2.მონაკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 3.სტ.ეტიენი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 4.ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 5.ბორდო | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 6.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 7.ანჟე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 8.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-2 | 6 |
| 9.გენგამი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 10.ტულუზა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-11 | 6 |
| 11.ტრუა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 12.მონპელიე | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 13.ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.სტრასბური | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 15.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| 16.დიჟონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| 17.ნიცა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 18.ამიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 19.რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-8 | 2 |
| 20.მეცი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ფეინოორდი-ტილბურგი ............... 5:0
ვენლო-აიაქსი ................................ 0:2
გრონინგენი-უტრეხტი ................... 2:1
პსვ-როდა ...................................... 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ავიში ............................. 1:0
სპორტინგი-ეშტორილი ................. 2:1
ბრაგა-პორტუ ................................ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სკა ხაბაროვსკი-სპარტაკი ............ 0:0
ცსკა-ახმატი .................................. 0:1
ზენიტი-როსტოვი .......................... 0:0
კრასნოდარი-დინამო .................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ციურიხი ....................... 1:1
სტ.გალენი-იანგ ბოისი .................. 2:2
სიონი-ბაზელი ............................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-ჰიბერნიანი 1:1
როსი-რეინჯერსი 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-მატერსბურგი .................. 1:0
შტურმი-ზალცბურგი ..................... 1:0
ადმირა-აუსტრია ........................... 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-სტანდარდი ..................... 4:0
გენტი-ანდერლეხტი ...................... 0:0
ოსტენდე-ანტვერპენი .................. 3:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-ლევადიაკოსი ....... 0:0
პანიონიოსი-აპოლონი ................... 2:0
პაოკი-კერკირა .............................. 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ქონია ....................... 2:1
აკჰისარი-ქაშიმფაშა ..................... 2:1
გენჩლერი-ფენერბახჩე .................. 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

იაბლონეცი-ზლინი ........................ 2:0
სლავია-ბოლესლავი ...................... 4:0
ტეპლიცე-იიჰლავა ........................ 3:1
პლზენი-ბანიკი ............................. 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-არკა .................................... 3:0
სანდეცია-პოგონი ......................... 2:1
ლეგია-ზაგლებიე .......................... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-შახტარი ............................ 1:2
ოლექსანდრია-ვორსკლა ............... 0:1
ზორია-ჩერნომორეცი ................... 5:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ლუნგბიუ ............. 1:1
ბრონდბიუ-ჰორსენსი .................... 2:0
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ........ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-დიურგარდენი ...................... 1:1
კალმარი-სირიუსი ........................ 4:2
ნორჩიოპინგი-ესტერსტუნდი ........ 0:2
ჰაკენი-იონჩოპინგი ...................... 3:1
მალმიო-გიოტებორგი ................... 2:2
სუნდსვალდი-იორებრო ................ 2:1
ელფსბორგი-ჰალმშტადი ............... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ვაასა ......................... 1:0
ჰიკი-კუუპიო ................................ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შვედეთის პრინცესა მესამედ გახდება დედა



შვედი პრინცესა მადლენი ფეისბუქში ავრცელებს ინფორმაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ ის მესამედ გახდება დედა.

35 წლის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ბიზნესმენ კრის ო,ნილზეა გათხოვილი.

პრინცესა თავს კარგად გრძნობს. ის მომავალი წლის მარტში იმშობიარებს, აცხადებს შვედეთის სამეფო სასახლე.

მადლენი ო,ნილს ცოლად 2013 წელს გაჰყვა. პრინცესას მეუღლემ ტიტულზე უარი თქვა, რათა ბიზნესში საქმიანობა გაეგრძელებინა. წყვილს ჰყავს გოგონა ლეონორა და ბიჭი ნიკოლასი.

ოჯახი ძირითადად ლონდონში ცხოვრობს, თუმცა ამჟამად სტოკჰოლმში იმყოფება.

## აშშ-ში მარკ ტვენის ფერმა იყიდება

ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ფერმა, რომელიც კონექტიკუტის შტატში მდებარეობს, გასაყიდადაა გამოტანილი.

ფერმას შვიდ ჰექტარზე ოდნავ მეტი ტერიტორია უკავია. ის 1860 წელს შეიქმნა. მოგვიანებით ის მარკ ტვენმა თავისი უმცროსი ქალიშვილის ჯეინისთვის შეიძინა.

ფერმის მთავარ სახლში, რომლის ფართო-



ბი 339 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხუთი საძინებელი და ოთხი სააბაზანო ოთახია. ამ მომენტისთვის სახლი და მისი მიმდებარე ტერიტორია საგულდაგულოდაა რესტავრირებული.

უძრავი ქონების ფასი 1,85 მილიონი დოლარია.

## ბრიტანეთში ყველაზე სექსუალური დამნაშავე ქალი გამოჩნდა



დიდ ბრიტანეთში სოციალურ ქსელებში ძარცვის მცდელობისთვის ძებნილი ქალი ქვეყნის ყველაზე სექსუალურ დამნაშავე ქალად მონათლეს. მასალები ამ თემაზე რამდენიმე ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

როდესაც პოლიციის მიერ გამოქვეყნებული ეჭვმიტანილის ფოტორობოტი ინტერნეტში მოხვდა, მისმა მომხმარებლებმა ყურადღება არ მიაქციეს იმას, რომ საუბარი იყო ადამიანზე, რომელმაც შესაძლოა სერიოზული დანაშაული ჩაიდინა.

სურათზე გამოსახული ქალი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ვარაუდით, შესაძლოა ინგლისის ქალაქ ოზუესტრიში ძარცვის მცდელობაში იყოს გარეული. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, თითქოსდა ქალი დაბნეული გამომეტყველებით გზის პირას იდგა. მის მახლობლად გაჩერდა ავტომობილი, მძღოლმა ფანჯრის მინა ჩამოსწია და მასთან დალაპარაკება ცადა. ამ დროს ქალის თანამზრახველი მანქანას მძღოლის მხრიდან მიუახლოვდა და კარი გააღო, ქალმა კი მგზავრის მხარეს მდებარე კარი გამოაღო (მათ მიზანს მანქანის გატაცება წარმოადგენდა), თუმცა საჭესთან მჯდომმა მანქანა დაძრა და იქაურობას გაეცალა.

ეჭვმიტანილი ქალის აღწერილობაში ნათქვამია, რომ ის 1,7 მეტრი სიმაღლის, ღია ფერის თმებიანი ევროპული აქცენტით მოლაპარაკეა.

აღსანიშნავია, რომ ძარცვის მცდელობის მონაწილე მამაკაცის აღწერილობა არ არსებობს.

## ინგლისელი პენსიონერი ახალგაზრდა ნიგერიელი მეუღლის ქვეყანაში ჩამოსაყვანად ფულს არ იშურებს



ბრიტანული მას მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა 72 წლის დორჩესტერელი პენსიონერის ისტორია, რომელიც უკვე ორი წელია ვერ ახერხებს თავისი 27 წლის ნიგერიელი მეუღლის ქვეყანაში ჩამოყვანას, ვინაიდან ხელისუფლება მას ვიზას არ აძლევს.

აღსანიშნავია, რომ ანჯელინა ნვაჩუკვუმ, საერთო ჯამში, 20 ათასი ფუნტი სტერლინგი (25 ათას დოლარზე მეტი) დახარჯა ნიგერიაში გამგზავრებასა და შეყვარებულის აფრიკიდან გაერთიანებულ სამეფოში ჩამოყვანის მცდელობაში.

– მე სერიოზულად ვფიქრობდი მისთვის ვიზის მიღებას, ადვოკატები დავიქირავე, – განაცხადა ექვსი შვილიშვილის ბებიამ, რომელიც, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ მისი ხარჯების ნახევარი მისმა მეუღლემ სიჯეი ნვაჩუკვუმ დაფარა.

ქალის თქმით, მან სიჯეი 2015 წელს ფეისბუქში გაიცნო. ახალგაზრდა მამაკაცმა მას პირველმა მისწერა და მეგობრებში დაიმატა. მათ საუბარი გააბეს. დროთა განმავლობაში კი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა.

– ის ექვსი წლის უმცროსია ჩემს უფროს შვილიშვილზე, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერი მოვუხერხე, როდესაც სკაიპით ვურთიერთობდით, მუცელში თითქოსდა პეპლები დაფრინავდნენ, – იხსენებს ანჯელინა.

ურთიერთობის დაწყებიდან ერთ თვეში სიჯეი ბრიტანელ პენსიონერს სიყვარულში გამოუტყდა და ხელი სთხოვა, რაზეც დაუყოვნებლივ მიიღო ქალის თანხმობა. შეყვარებულები სამი თვის შემდეგ ქალაქ ლაგოსში დაქორწინდნენ, ქორწილის დღეს მათ პირველად ნახეს ერთმანეთი ცოცხლად. ამის შემდეგ პენსიონერი შეეცადა, თავისი ახლადგამომცხვარი მეუღლისთვის ბრიტანეთის ვიზა აეღო, მაგრამ ხელისუფლებისგან უარი მიიღო. ხელისუფლებამ საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ქალი პენსიაზეა და ნიგერიელის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა.

– ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ყოველთვის უარს ვიღებდი. მას ჩემთან ტურისტული ვიზით ჩამოსვლის უფლებაც კი არ მისცეს, – განაცხადა პენსიონერმა.

ქორწილის შემდეგ ბრიტანელი პენსიონერი ორჯერ იყო ჩასული ნიგერიაში მეუღლესთან. ამჟამად მას იმედი აქვს, რომ სიჯეი მომავალ წელს სტუდენტური ვიზის მიღებას და, ბოლოს და ბოლოს, მასთან ჩასვლას შეძლებს.

## მილა კუნისი და ეშტონ კუტჩერი მეილონლაინის წინააღმდეგ შეთანხმდნენ

ჰოლივუდის მსახიობები მილა კუნისი და ეშტონ კუტჩერი ასსოციატედ ჩეწსპაპერს-ს წინააღმდეგ საქმეზე შეთანხმდნენ, მათ შორის მეილონლაინის წინააღმდეგაც.

2015 წელს მილა კუნისმა და ეშტონ კუტჩერმა სარჩელი მეილონლაინის ორ სტატიაზე შეიტანეს, რომლებშიც მათი ქალიშვილის ვაიატის (იმ მომენტისთვის გოგონა ერთი წლის იყო)



ფოტოსურათები იყო გამოქვეყნებული.

სურათები პაპარაცების მიერ შორიხედვის ობიექტივის გამოყენებით იყო გადაღებული, როდესაც ცნობილი წყვილი პლიაჟზე ისვენებდა.

მსახიობების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების“ მიღებას მიაღწია. კერძოდ, მიღწეულია შეზღუდვა მომავალში ფოტოსურათების გამოქვეყნებაზე და მსახიობების მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის შემოწირულობის გადაცემაზე, მათი არჩევანის მიხედვით.

## მაილი საირუსი და კაილი ჯენერი გაშიშვლდნენ



მომღერალმა მაილი საირუსმა და მოდელმა კაილი ჯენერმა სურათების გადასაღებად გაიხადეს.

საირუსი შიშველ ფერიად გარდაისახა, ფოტოგრაფ დევიდ ლაშაპელიას ახალი წიგნისთვის Lost + Found. მომღერლის თამამი ფოტოსურათის ხილვა წიგნის გარეკანზეა შესაძლებელი.

გამოცემაში დევიდ ბოუის, კანიე უესტის, ჰილარი კლინტონის, მაიკლ ჯექსონის და სხვა ვარსკვლავების ცნობილი 150 ფოტოსურათი შევიდა.

რაც შეეხება კაილი ჯენერს, მან თამამი ფოტოსურათი ჟურნალ V Magazine-სთვის გადაიღო, რომლის ავტორია ანა ტრეველიანი.

– მე ყოველთვის ვაქვეყნებ სექსუალურ გამოსახულებებს, მაგრამ ჯერ ბოლომდე არასოდეს გავშიშვლებულვარ, – განაცხადა კაილი ჯენერმა.

## ბერლინელი მოსწავლეები მეძავებისგან კედლით გამოყვეს



ბერლინის ფრანგულმა სკოლამ თითქმის 57 ათასი ევრო დახარჯა სასწავლო დაწესებულების გარშემო მეტრ-ნახევარი სიმაღლის ღობის ასაშენებლად. კედლის დანიშნულებას წარმოადგენს, მოსწავლეები მეძავების ბრბოსგან გამოაცალკევოს.

სასწავლო დაწესებულება კურფიურსტენშტრასეს ქუჩაზე მდებარეობს. ეს რაიონი გერმანიის დედაქალაქის წითელი ფარნების ადგილობრივ კვარტალს წარმოადგენს. მოსწავლეების მშობლები და ადგილობრივი მცხოვრებლები ჩივიან, რომ მეძავები იქ პრაქტიკულად ოცდაოთხი საათის განმავლობაში დგანან. ზოგჯერ სკოლის ტერიტორიაზეც შედიან, ვინაიდან იქ იმ რაიონში ერთადერთი ხელმისაწვდომი ტუალეტია.

გერმანიაში პროსტიტუცია ოფიციალურად 2002 წლიდან არის დაშვებული. გოგონების უმრავლესობა ბორდელებში მუშაობს, თუმცა ზოგიერთები კლიენტების ქუჩებში მოძებნას ამჯობინებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 29 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მომავალი კი – გაურკვეველი. მოსალოდნელია კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა დაფიქრებისათვის. მობილიზებული ხართ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნუ გადაიღლებით. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ, მაგრამ ზომიერება დაიცავით. ზედმეტად არ გადაიღალოთ. ბუნების წიაღში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა არ არის სასურველი. ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ქალწული** – მცირედი სიძნელეები ნუ შეგაშინებთ. არ გარისკოთ. საქმიანი პარტნიორები მახეს გიგებენ. **სასწორი** – ეცადეთ, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, ორგანიზმი გაიკაჟოთ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმის შესასრულებლად კეთილისმყოფელი დღეა. დიდი ხნის ნატვრა გისრულდებათ და თავს ბედნიერად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ გარშემომყოფებთან კონფლიქტს. ინტიმურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **თხის რქა** – ვარსკვლავების განლაგება თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილია. ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. დიდია ავადმყოფობისა და ტრავმის მიღების ალბათობა. **მერწყული** – მიუტევეთ, აპატიეთ. წყენას გულში ნუ ჩაიხვევთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ. **თევზები** – აქტიურობის პერიოდი გაქვთ. გააანალიზეთ პრობლემების მიზეზები და შეეცადეთ მათ აღმოფხვრას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 5. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 10. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 11. თავადის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 13. ჯიბის ქურდი; 16. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 17. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი ტაო-კლარჯეთში; 21. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 18. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. მოსამართლე ძველად საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმთა მთვარის კალენდარი; 20. თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ალბანეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ტანგენსი; 7. დანტისტი; 8. ლიტერი; 9. ვარდი; 10. მიკანიტი; 11. პანსიონი; 15. რაფინირება; 17. ნატურა; 19. ირადიაცია; 21. კელნერი; 22. მიმეტიზმი; 23. კითარა.

**შვეულად:** 1. იაგუარი; 2. კინეტიკა; 3. ანიონი; 4. ისიდა; 5. მიუზიკლი; 8. ლიმუზინი; 12. სვია; 13. განიმედი; 14. აბულია; 16. მარადია; 18. პარტია; 20. იოდი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იქსი. 2. მა; 3. ატროფია; 4. ნოე; 5. ნეილონი; 6. ლეონი; 7. ნაირა; 8. იუბარი; 9. ისარი; 10. ასია; 11. გნუ; 12. ბინგო; 13. რა; 14. ბარბი; 15. ბეი; 16. არენა; 17. რეა; 18. ფინტი; 19. მოამბე; 20. არკა; 21. აზრი; 22. ბი; 23. იენა; 24. ინდი; 25. ნალია; 26. პკე; 27. ანაბასისი; 28. ნეო; 29. ურნა; 30. მაიონეზი; 31. რვეული; 32. არლეკინი; 33. ბია; 34. რაფ.

**სურათებზე:** კეიტ მოსი; ფერნანდო მორიენტესი

# ხვიჩა კვარაცხელიამ ასტანაში გაიმარჯვა



ასტანაში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „ასტანა ექსპო 2017“ ქართველმა მომღერალმა ხვიჩა კვარაცხელიამ გაიმარჯვა.

ხვიჩა მაყურებელმა მას შემდეგ გაიცნო, რაც მუსიკალურ შოუში „ახალი ქართული ხმა“ და „იქს ფაქტორი“ მიიღო მონაწილეობა. მართალია, ხვიჩამ ვერც ერთ პროექტში ვერ გაიმარჯვა, თუმცა თავისი მუსიკალურობით და განსაკუთრებული გარეგნობით მსმენელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

მომღერალმა ასტანაში საქართველო წარადგინა, სადაც ქეთა თოფურიას სიმღერა „გული გეფერებოდა“ იმღერა. სიმღერა ქეთასთვის სპეციალურად გიგა კვენეტაძემ დაწერა. ხვიჩა კვარაცხელიას მიერ შესრულებული სიმღერის ინტერპრეტაცია ფესტივალზე საუკეთესოდ იქნა მიჩნეული და საქართველოს წარმომადგენელი პრიზით და დიპლომით დაჯილდოვდა.

# ნინი წიკლაურმა მასწავლებლობა დაიწყო



მომღერალმა ნინი წიკლაურმა, რომელიც წლებია ამერიკაში ბრუკლინში ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს, მასწავლებლობა დაიწყო.

ბრუკლინში სტუდია „ციცინათელა“ გაიხსნა, სადაც ნინი ვოკალის მასწავლებლად იმუშავებს. ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

– უნდა გაცნობოთ ჩემი ძალიან სასიხარულო სიახლე ნიუ იორკში, კერძოდ, ბრუკლინში ჩამოყალიბდა სულ ახლად-ახალი და ძალიან მხიარული სტუდია „ციცინათელა“, სადაც შეისწავლება ვოკალი და პლასტიკა, თანამედროვე ცეკვა. ვოკალის კლასს ვუხელმძღვანელებ მე, თქვენი მონა-მორჩილი ნინი წიკლაური. გელოდებით ყველას, პატარებს 2-3 წლიდან და თინეიჯერებს და არა მარტო თინეიჯერებს. მიღება დაწყებულია, იჩქარეთ.

# ლიანა ისაკაძე „ღამის სერენადებს“ გააგრძელებს



ლეგენდარულმა ქართველმა მევიოლინემ ლიანა ისაკაძემ მეუღლის გარდაცვალების მიუხედავად, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადების“ გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

ინფორმაცია ამის თაობაზე ფესტივალის ორგანიზატორმა კომპანიამ „გლობალ არტმა“ გაავრცელა:

– ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადების“ პირველი კონცერტის დასასრულს მოხდა საშინელი ტრაგედია. საკონცერტო დარბაზში გარდაიცვალა ლიანა ისაკაძის მეუღლე, პროფესორი თამაზ ჩაჩავა. გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი თამაზ ჩაჩავას დიდი სურვილი იყო, რომ ეს ფესტივალი გამართულიყო და მისი დიდი ძალისხმევა იყო ჩადებული მის ორგანიზებაში, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფისა და მოწვეული მუსიკოსების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ფესტივალი გაგრძელდება ფაქტიურად უცვლელი პროგრამით და მიეძღვნება ბატონი თამაზ ჩაჩავას ხსოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ლიანა ისაკაძე ველარ მიიღებს მონაწილეობას, მისი სურვილია, ფესტივალი გაგრძელდეს მისი მეუღლის პატივის მისაგებად!

ამ განცხადების შემდეგ, პირველი კონცერტი ბათუმის შერატონის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს კლარნეტისტებმა ისრაელიდან – ძმებმა ალექსი და დანიელ გურფინკელებმა და მათმა მამამ, დირიჟორმა მიხაელ გურფინკელმა. კონცერტზე შესრულდა პოვოლოტსკის ებრაული სულის ფანტაზია, სენ-სანსის ინტროდუქცია და რონდო-კაპრიჩიოზო და მენდელსონის საკონცერტო პიესა.

რაც შეეხება მეორე განყოფილებას, სადაც ჯემსეიშენი უნდა გამართულიყო და ლიანა ისაკაძეს და მის მეუღლეს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ჯემსეიშენი გაიმართა და მასზე ოთარ მაღრაძემ, გია სალაღიშვილმა და დავით საგანელიძემ დაუკრეს.

# გერგეტის ტაძარი საუკეთესოდ დასახელდა



ცნობილმა უცხოურმა ტურისტულმა ვებ გვერდმა მკითხველს ის ათი რჩეული ადგილი შესთავაზა, რომლებიც საქართველოში ვიზიტისას აუცილებლად უნდა მოინახულონ.

ჩამონათვალში პირველი ადგილი გერგეტის სამებამ დაიკავა. საქართველოს რჩეული ადგილების ათეული კი ასეთია: გერგეთის ტაძარი, სტეფანწმინდა. ძველი თბილისი. თბილისის საბაგიროები. ყაზბეგის მთა, სტეფანწმინდა. ბათუმის ბულვარი. დელფინარიუმი, ბათუმი. რიწის ტბა, გაგრა. ჯვრის მონასტერი, მცხეთა. ვარძია, ასპინძა. სვეტიცხოველი, მცხეთა.

# ბარალეთის დედათა მონასტრის სახურავი განახლდა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლების ძალისხმევით, ბარალეთის დედათა მონასტრის სახურავი განახლდა.

გადახურვის კონსტრუქციიდან და სამრეკლოს ლავგარდანიდან, რომელსაც წლების განმავლობაში რესტავრაცია არ ჩასტარებია, ნადენი წყალი ეკლესიის კედლის მხატვრობას აზიანებდა. რეაბილიტაციის ფარგლებში მთლიანად გასუფთავდა ლორფინის ქვების წყობა. მათი სრულად დაზიანებული ნაწილი კი დუღაბში ჩამოსხმული ელემენტებით თავიდან აღდგა. საიზოლაციო სამუშაოები ჩატარდა სამრეკლოსა და სახურავის კონსტრუქციის გადაბმის სეგმენტში.

ახლო მომავალში ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობასაც გეგმავენ, რაც ტერიტორიის ველური მცენარეული საფარისაგან გაწმენდას ითვალისწინებს. ბარალეთის დედათა მონასტერი XIII საუკუნის დროინდელი 2-ნავიანი ბაზილიკაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## პროგრამა

სამშაბათი
29 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" 10.00, 02.20 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.00, 03.20 დღის მხ/ფ "**ანა კარენინა**" (გ. გარბო) 15.00, 05.00 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 22.00 ტ/სერ. "**მთავრობა**" 23.00 მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**" (ს. ბონერი) 00.40 მხ/ფ "**კოკო**"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

07.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" 08.00, 16.00 სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05 ქრონიკა 09.20 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 სერ. "**ღირსების სახელით**" 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სერ. "**ძმა**" 22.30 სერ. "**ელ პრინსიპე**" 00.00 მხ/ფ "**მკვლელების სამეფო**" 02.15 მხ/ფ "**კარგი ტყუილი**" 04.20 მხ/ფ "**ჯეინ ეარი**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" 07.00, 19.45, 20.03 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 08.00 სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-კოსემის რისხვა**" 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 20.50 ლოტო 22.00 დოკ/ფ "თვითმფრინავის გამტაცებლები" თ.ჩაგელიშვილი 23.00, 01.30, 2.00 მხ/ფ 2.30 კურიერის დაიჯესტი 3.15 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი 3" 09.00 სერ. "**მონკი-7**" 13.00 სერ. "**ძვლები-3**" 15.00 სერ. "**ძვლები 4**" 17.00 სერ. "**სიმართლის ანატომია 2**" 19.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 21.00 სერ. "**კრიმინალური რომანი 2**" 22.30 მხ/ფ "**სულელების ოქრო**" 00.30 მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**" 02.40 მხ/ფ "**ექვსი დღე შვიდი ღამე**" 04.30 მხ/ფ "**ამბობენ**" 06.15 მხ/ფ "**დაივიწყე პარიზი**"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 სერ. "**მეომრები**" **რიჩარდ ლომგული** 09.20 მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" 09.50 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20 ახალი ამბები 11.20 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 11.50 მოდი გავიყაროთ 12.40 ბენეფისი 15.00 სერ. "**ბანდოლერა** 18.00 ღია სტუდია 19.55 მე რომ ვიყო 20.00 სერ. "**ფოილის ომი**" 21.30 კრაზანა 22.35 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 0.00 მხ/ფ "**გაყოფილი წამი**" 1.30 მოდი გავიყაროთ 03.00 ღია სტუდია 04.00 სერ. "**რაუ**"

06.10 სპექტაკლი "**შთამომავლობა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან გადაცემა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 09.45 პატერიკი 54. მაკარი დიდი 09.50 მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" I სერ. 10.50 დ/ფ "ველური ბუნება - სამხრეთ აფრიკა-უმფოლოზის ნაკრძალი" 12.10 მოკ. მხ/ფ "**ქორწილი**" 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" 2 14.45 სადღესასწაულო სახარების განმარტება "ღვთისმშობლის მიძინება" 15.05 ქართ.ან/ფ 1.ჩოკინა 2. საზამთრო 15.25 საქართველოს ისტორია "საქართველო და მსოფლიო 1900 წელი" 16.00 კონცერტი "გოგი დოლიძე -- იყო ხილვის სიხარული" 17.10 ქრისტიანული ხელოვნება "მებრძოლობა და ქრისტიანული ხელოვნება" 18.10 განთიადის სიუჟეტი "ანჩისხატობა" 18.30 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.45 თბილისის ტაძრები "ანჩისხატის ტაძარი" 19.00 სამყაროს შექმნა 7. 19.10 მოკ.მხ/ფ "**ფეოლა**" 20.00 ღია აუდიტორია "მერაბ გეგია" 20.40 ძილი ნებისა "იოსების სიზმარი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "გეშტართერაპია" 22.00 ჩვ. ფონდი "თინათინ ბოლქვაძე-ენობრივი კონტაქტები" 22.10 მოკ.მხ/ფ " პეპელა " 22.25 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 22.45 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 4.ხელნაწერების ეროვნული ცენტრი-ჯუჭის სახარება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" 23.40 ღვთის სახლი "ზაქათალა" 00.15 სადვთისმეტყველო საუბრები "ედიშერ ჭელიძე--დოგმატის არსი" 01.00 მხ/ფ "**ჩრდილი გზაზე**"

მაესტრო 08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.15 - 02.15 სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.30- 02.30 ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00 ბიზნესი 21.00 მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## სპორტი

# ლიპარტელიანი და ჭრიკიშვილი საუკეთესო ძიუდოისტის ნომინაციაზე წარადგინეს



საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ დააფასა და პრეზიდენტ მარიუს ვიზერთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის პრესკონფერენციაზე მიიწვია. მსოფლიოს ჩემპიონატს ბუდაპეშტი მასპინძლობს.

მოგვიანებით, ლიპარტელიანი (ავთო ჭრიკიშვილთან და ტედი რინერთან ერთად) საერთაშორისო ფედერაციის გალა-დაჯილდოებაზე საუკეთესო ძიუდოისტის ნომინაციაზეც წარადგინეს.

პრესკონფერენციაზე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ წონის შეცვლაზე ბევრს ფიქრობდა, თუმცა საბოლოოდ 100 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობა გადაწყვიტა და მსოფლიო ჩემპიონატზე მაქსიმუმს გააკეთებს.

მსოფლიოს ჩემპიონატი ბუდაპეშტში გუშინ დაიწყო და 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენებურმა უზბეკ უროზბოევთან მტკივნეული ილეთით წააგო და ტურნირს მე-2 ეტაპზე გამოეთიშა.

66 კგ წონით კატეგორიაში ვაჟა მარგველაშვილი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვება, სადაც მისი მეტოქე იორდანიელი ბილალ ეიეალსალმანი იქნება.

73 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი მეორე წრიდან ბრაზილიელ მარსელო კონტინის შეხვდება.

81 კგ წონით კატეგორიაში ზებედა რეხვიაშვილი ასევე მეორე წრიდან დაიწყებს და ურუგვაელ ალაინ აპრეჰამიანს დაუპირისპირდება.

90 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს სახელით 2 ძიუდოისტი, ბექა ღვინიაშვილი და უშანგი მარგიანი იასპარეზებენ. ღვინიაშვილის პირველი მეტოქე მეორე წრეში ყირგიზ აზმათ ბექტურსუნოვსა და ფილიპინელ კოჰეი კოჰაგურას შორის გამარჯვებული იქნება. მარგიანი კი მეორე წრეში ბოსნიელ ტონი მილეტიჩს შეხვდება. ქართველი ძიუდოისტების ბადე ისე გადანაწილდა, რომ ისინი ფინალამდე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან.

100 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ვარლამ ლიპარტელიანი პირველივე წრეში კოტ დივუარელ კოფი კრემე კობენას დაეჭიდება.

მძიმე წონაში ნაკრებს ასევე 2 წარმომადგენელი ეყოლება – ადამ ოქრუაშვილი და გურამ თუშიშვილი. ოქრუაშვილი მეორე წრეში ეგვიპტელ აჰმედ ვაჰიდსა და ესტონელ იუჰან მეტისს შორის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო თუშიშვილი ასევე მეორე წრეში ბელარუს ულაძისლა ციარპისკისა და კორეელ სუნგმინ კიმს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ქართველი ძიუდოისტები ერთმანეთს ფინალურ შეხვედრამდე არ დაუპირისპირდებიან. ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე მოსალოდნელი შეხვედრა, ტედი რინერისა და გურამ თუშიშვილს შორის შესაძლოა ნახევარფინალში შედგეს.

57 კგ წონით კატეგორიაში მარიამ ჯანაშვილის მეტოქე პირველ წრეში კანადელი კატერინ ბეშმინ-პინარი იქნება.

70 კგ წონით კატეგორიაში ნინო ოძელაშვილი პირველ წრეში ნიგერიელ ვინი გოფიტს დაუპირისპირდება.

ქალთა მძიმე წონაში კი ელენე ქებაძე პირველივე წრეში გერმანელ იასმინ კულბს დაეჭიდება.

გუნდურ შეჯიბრში კი საქართველოს ნაკრებს ავთანდილ ჭრიკიშვილი და ლაშა გიუნაშვილი დაეხმარებიან.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ანტონიო კონტე: „ჩელსის ტრანსფერი აღარ სჭირდება“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ მის გუნდს მეტი ტრანსფერი არ სჭირდება და ის კმაყოფილია იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ამჟამად ჩელსიში თამაშობენ.

– მე მყავს ის ფეხბურთელები, ვინც მჭირდება და ვფიქრობ, ამ ფეხბურთელებთან ერთად ჩელსი ისევ მიაღწევს კარგ შედეგს, როგორც ეს წინა სეზონში იყო. ჩვენ კვლავინდებურად მოტივირებულები ვართ და ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება გვსურს, – განაცხადა ანტონიო კონტემ.



პრემიერ ლიგაში ჩელსის 3 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4158 |
| ევრო | 2.8548 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1004 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0848 |

## ამინდის პროგნოზი 29 აგვისტოსთვის





## 31 აგვისტოდან




ალექსანდრე იასაღაშვილი

**შავი ვარდი**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 30 აგვისტოდან




**საოჯახო სამზარეულოს**

1

ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი და 50 თეთრი


## იოვეტიჩი კარიერას მონაკოში გააგრძელებს



მილანის ინტერის შემტევი ნახევარმცველი სტეფან იოვეტიჩი კარიერას მონაკოში გააგრძელებს.

აღსანიშნავია, რომ იოვეტიჩმა მონაკოს 10-ნომრიანი მაისური დაისაკუთრა, რაც იმას ნიშნავს, რომ კილიან მბაპე გუნდს დატოვებს. შარშანდელი სეზონი იოვეტიჩმა სევილიაში გაატარა, სადაც ის ერთი წლით იყო განათხოვრებული.

სერბი ფეხბურთელი რამდენიმე დღეში მონაკოში ჩავა, სადაც ოფიციალურად კონტრაქტს მოაწერს ხელს.

იოვეტიჩმა სახელი ფიორენტინაში გაითქვა, სადაც მან 5 წელიწადი გაატანა. სტეფანმა ბედი ინგლისშიც სცადა, თუმცა მანჩესტერ სიტიში მან ადგილი ვერ დაიმკვიდრა და კლუბი მალე დატოვა.

## ზიდანი: „ბენზემამ ბევრი მომენტი გააფუჭა, მაგრამ მისი მჯერა“



ზინედინ ზიდანმა ვალენსიასთან შეხვედრაზე ისაუბრა, რომელშიც რეალმა გამარჯვება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, რეალი აგებდა, მაგრამ 83-ე წუთზე მარკო ასენსიომ ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრაში ბევრი მომენტი ვერ გამოიყენა კარიმ ბენზემამ, მაგრამ ზიდანმა ის დაიცვა და თქვა, რომ ფორვარდს უბრალოდ არ გაუმართლა.

– თამაშით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე ლიდერი არ გვყავდა, მაგრამ მაინც კარგად ვითამაშეთ, თუმცა შედეგი დამაკმაყოფილებელი არ არის. ბენზემამ ბევრი მომენტი ვერ გაიტანა, მაგრამ ის მაღალი დონის ფორვარდია და მე მისი მჯერა, – განაცხადა ზიდანმა. ვალენსიასთან რეალი სერხიო რამოსის და კრიშტიანო რონალდუს გარეშე თამაშობდა.

## ლივერპულს ტომა ლემარის ყიდვა სურს



ლივერპული მონაკოს ფეხბურთელით, ტომა ლემერით არის დაინტერესებული და შესაძლოა ეს ტრანსფერი აგვისტოს ბოლომდე განხორციელდეს.

ლემარი გასულ სეზონში მონაკოს ერთ-ერთი ლიდერი იყო და ფრანგები მას იაფად არ დათმობენ.

ლემარის სატრანსფერო ფასი 70 მილიონი ევროა და ლივერპული აპირებს, ეს თანხა გადაიხადოს. ლემარი ნახევარმცველია და ის კოუტინიოს შემცვლელად მოიაზრება, იმ შემთხვევაში თუ ბრაზილიელი ფეხბურთელი ლივერპულს დატოვებს.

კლოპის თქმით, ლემარი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ლივერპულს აუცილებლად გააძლიერებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



კაცი თევზაობს, თავზე კი კრამიტი ახურავს. ამ დროს ერთი ქალი ჩაივლის და ამას რომ დაინახავს, ეკითხება:

– თავზე კრამიტი რატომ გახურავს?

– ქალო, გამანებე რა თავი, შენ ხასიათზე არ ვარ.

ქალი არ მოეშვება, ეკითხება და ეკითხება, რატომ გახურავს თავზე კრამიტიო. ბოლოს კაცი ეუბნება:

– კარგი, მომეცი და გეტყვი.

ქალი გაბრაზდება, ეს რა მაკადრეო და წავა. ცოტა ხანში მობრუნდება და დათანხმდება. როდესაც საქმეს მოათავებენ, კაცი ეუბნება:

– ეს ძუა ამერიკიდან მაქვს ჩამოტანილი, ეს ჯოხი იაპონიაში ვიყიდე, ეს ამხვევი გერმანიიდან წამოვიღე, ნემსკავი კი – ბრაზილიიდან.

– მერე?

– მერე ამით ერთი თევზიც კი ვერ დავიჭირე, ამ მშობლიური კრამიტით კი შენ უკვე მეოთხე ქალი ხარ...

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– ე.ი. თქვენ აღიარებთ, რომ ტაფა თავში ჩაარტყით დაზარალებულ ქალბატონს?

– დიახ, ბატონო მოსამართლევ, ოღონდ ფეხები მანამდეც დაბრეცილი ჰქონდა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემს ცოლს ვიღაც ფრანგთან შევუსწარი საძინებელში.

– მერე, რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი ფრანგულად.

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ასე მოქცევა როგორ შეგიძლია? პირდაპირ სიტყვები არ მყოფნის!

– შენი დუმილით დამსაჯე.

●●●

საბაჟოს თანამშრომელი მოქალაქეს ეკითხება:

– ასე გაცრეცილი რატომაა თქვენი პასპორტის ფურცლები:

– ვისაც არ ეზარება, ყველა ფურცლავს და...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რატომ მიყვირი? შენც ხომ ნასვამი ხარ!

– მე კაცებთან ერთად დავლიე.

– მეც კაცებთან ვსვამდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

**10 აგვისტოდან ტომი 50 პინოჩეტი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**17 აგვისტოდან ტომი 51 იულიუს კეისარი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**24 აგვისტოდან ტომი 52 ლინკოლნი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 აგვისტოდან




ლაშა იმედაშვილი

ქართული დეტექტივი ტომი 13

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ბარსელონაში დემბელეს პრეზენტაცია შედგა




ბარსელონას ახალწვეულ უსმან დემბელეს ოფიციალური პრეზენტაცია ორშაბათს შედგა. დემბელემ კონტრაქტს ხელი მოაწერა და გულშემატკივრების წინაშე წარდგა. პრეზენტაციის შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელმა კომენტარიც გააკეთა.

– ბარსელონაში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და ახლა ეს ოცნება რეალობად იქცა. ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, რომ მალე გამოვიდე მოედანზე და ჩემზე დამყარებული იმედები გავამართლო, – განაცხადა დემბელემ.

უსმან დემბელეს ტრანსფერში ბარსელონამ 105 მილიონი ევრო გადაიხადა. ბორუსიამ დიდხანს აწვალა ბარსელონა, მაგრამ საბოლოოდ ეს ტრანსფერი მაინც შედგა.

დემბელე 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქიმიური ინდიკატორი; 2. მოდუღებული ყურძნის წვენი; 3. უბანი თბილისში; 4. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 7. ჩაის დეგუსტატორი; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. მოქმედების უნარი, ძალა, ღონე; 17. ჯეიმს კემერონის მხატვრული კინოფილმი; 19. უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 20. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

**თარაზულად:** 5. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 6. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 9. საქართველოს კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 10. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 11. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 13. ნავსადგური ყირიმში; 15. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 18. ხრახნული კონვეიერი; 21. ეკლესიის მნათეს ძველებური სახელწოდება; 22. ვირტუოზი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 23. ლოგარითმის წილადური ნაწილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

